

619
1953/2

დროშა
გერმანული
ბიბლიოთეკა
№ 4 აპრილი 1953





მოსკოვი. მავზოლეუმი

ნახატი ზ. ლეუავასი

გარეკანის პირველ გვერდზე: გაზაფხულის პეიზაჟი. მხატვარი მ. ხვითია
მეორე გვერდზე: ტყვარჩელი. საბაგირო გზა. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა



5391

მ. ი. ლენინი (1887 წ.)

ბიბლიოთეკა



ქოსკოვის ზეგა

ივანე თარბა

აქ, ცა ლურჯია თითქო დაბალიც,
მაგრამ, თუ კარგად დაუკვირდები, —
მოსკოვი მოჩანს,
ვით ცის დასავლით
ალმოდებული, ლურჯი ზვირთები.

თითქოს
ცას ეკვრის ღრუბლების ქულა,
იგი გავს ბადეს ზამბით მოქსოვილს,
ხან მტრედისფერი ლაქვარდი ჰხურავს,
ასეთი არის ჩვენი მოსკოვი.

ათასფერადი სხივების ქსელი
ოქროს გვირგვინად ადგია თავზე;
სივრცეს ანათებს ვარსკვლავი კრემლის —
ხალხთა იმედი და სილამაზე.

თბილისში ვიყო,
სუხუმში ვიყო
და თუნდაც ვიყო
შორეულ გზაზე, —
როგორ იქნება,
რომ დავივიწყო —
მხარე, რომელიც
ხალისით მავსებს.

სად უნდა ვიყო მე ისეთ მხარეს —
ნათელი ზეცა ვერ დავინახო,
რომ ვერ ვიხილო შუქმომფინარე,
კრემლი, არ იყოს ჩემს გულთან ახლო!

კრემლის ვარსკვლავი მე გზას მინათებს,
და სადაც წავალ ის თან დამყვება.
იგია ხალხთა დიდი სინათლე —
მშობელი მხარის გაჩირაღდნება.

მისგან ვერ გვთიშავს დრო და მანძილი,
მისი ნათელი ყველას გვიზიდავს;
რადგანაც კრემლი — ცამდე აწვდილი
შუქურა არის დედამიწისა...

თარგმანი კალე გოგონიძისა

ფოტო ნ. გრანოვსკისა

ე. ბარიამიძე

სადნობი საამქროს უზარმაზარ ჭერქვეშ გააგებულ ლომებრივთ ღმუიან ღუმელები. მათ მკვდრში გამდნარი ფეროშენადნობის თეთრი მასა დულს და გადმოღვრას ლამობს. მდნობელი მუშები გულგრილად შესტკვრიან „გაცეცხლებულ“ ღუმელს; ჯერ აღრეა, კიდევ 15 წუთი უნდა იდუღოს სითხედქცეულმა ფეროშენადნობმა, მერე კი შეიძლება გზამისცენ, გზა დაულოცონ თუჯის ჯამებისაკენ.

მაღე ეს მომენტიც დგება, ღუმელის ვიწრო ხახას რკინის გრძელი ჯოხებით ეხებიან, ელექტროდენი ადნობს ღუმელის საცობს და დამწვინებულს, განთავისუფლებული შენადნობი ნაპერწკლების სროლით და დგაფუნით მოედინება ღარებზე. ერთ-ერთი მუშა ნადნობის სინჯს იღებს და „ექსპრეს-ლაბორატორიისაკენ“ მიაქანებს. იქ უნდა შემოწმდეს, თუ როგორი ხარისხისაა ახლახან მიღებული ფეროშენადნობი. ეგებრთელა ჯამებში ჩაღვრილი ლითონი კი სწრაფად ცივდება, ახლა მას ბროწეულის ფერი დაჰკრავს. ცოტა ხნის შემდეგ მოისმის ხიდური ამწეს ბორბლების ხმაური. ამწედან ეშვება ჯაჭვებზე გამომბული რკინის ოთხი რგოლი. მათ ამაგრებენ ლითონით სავსე ჯამის სახელურებზე. მდნობელი მუშა ხელს იქნევს: „წაიღე“ ანიშნებს იგი ამწეს მძღოლს...

... იტვირთებიან მატარებლის ეშვლონები ზესტაფონში დამზადებული მაღალხარისხიანი ფეროშენადნობით და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებისაკენ მიჰქრიან.

ზესტაფონელ მეტალურგთა მიღწევებს ხელს უწყობს ქარხნის ცალკეული საამქროს, ცალკეული ბრიგადისა და მუშის თავდადებული შრომა, შრომის დისციპლინის მაღალი დონე, ქარხნის დირექციის ხელმძღვანელობა, რომელიც უნდა ითქვას, დიდ ყურადღებას აქცევს მუშებისათვის შრომის პირობების შემსუბუქების საქმეს. დირექციამ შემოქმედებითი კავშირი დაამყარა თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებთან, რომელთა დახმარებით ახლა თითქმის ყოველ ღუმელთანაა დადგმული მანევი აირების დამწერი სავენტილაციო მოწყობილობა.

ღუმელის ქურასთან მდგარ მუშას, როგორც ცნობილია, მუშაობა უხდება მეტად მაღალი ტემპერატურის პირობებში. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა ამის საწინააღმდეგო საშუალებასაც მიაგნეს: ვენტილატორის მოტრიალე ფრთებში წყლის წვრილი ნაკადი მიუშვეს, რომელიც ფრთებმა უხილავ შეფხვად გააფრქვია ჰაერში, მაღალი ტემპერატურის გამო კი ეს შეფხვები აორთქლდა და ღუმელის ტერიტორიის გაგრილება გამოიწვია.

სადნობი საამქროდან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით მარგანეცის საამქროს ტერიტორია იწყება. ამ საამქროში დგას ერთი პატარა ღუმელი, რომელიც თავისი სიდიდითა და ტექნიკური მოწყობილობით საგრძნობლად ჩამოუვარდება სადნობი საამქროს ღუმელებს. სამაგიეროდ მარგანეცის საამქროს ღუმელს მეტად საინტერესო ისტორია აქვს: იგი პირველი ფეროშენადნობის ღუმელია მთელ საქართველოში. 1930 წელს პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ეს ღუმელი დაიდგა თბილისის გარეუბან — დიდუბეში. სახელოვანი პროფესორი მაშინ ფეროშენადნობის მიღების პირველ ცდებს აწარმოებდა კიათურის მარგანეცის ბაზაზე. აქვე აღზარდა მან პირველი ქართველი მეტალურგები, მათ შორის ლენინის ორდენოსანი ალექსანდრე სვანიძე და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ლევან ბრეგვაძე, რომლებიც ღუმელთან ერთად „გადმოსახლდნენ“ ზესტაფონში და ახლაც მასზე მუშაობენ. მოხუცები ვერ მოსცილდნენ თავიანთ საყვარელ ღუმელს, მათ მიერ აღზრდილი მოწაფეები კი ახალგაზრდული ენერჯითა და მონდომებით დაჰფუსფუსებენ სადნობი საამქროს გიგანტურ ღუმელებს.

ზესტაფონის ქარხანას სტალინური პრემიის ექვსი ლაურეატი ჰყავს, ეს მაღალი ჯილდო დამსახურებული იქნა მარგანეცის შენადნობის ახალი ტექნოლოგიის დამუშავებისა და დანერგვის გამო. ქარხნის დირექცია, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები მთელი ენერჯით იბრძვიან კიდევ უფრო მაღალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ალთო ადამია

ილიას კარ-მიდამოში
ეროვნული
ლაბორატორია

ბინდში შეცურდა ალაზნის ველი —
იქცა მანდილად ცის და მიწისა;
და როგორც ერთი სურათი მთელი
ყვარელი თეთრად გადაინისლა.

მერე გამუქდა ალაზნის ველი
და შეიბურეს სახე ქედებმა...
როგორც გლეხკაცის სიმღერა წრფელი
ყვარელში თეთრი შუქი ენთება!

ათასი სხივი იფეთქებს ერთად,
ეს კარ-მიდამო დიდი შუქია!
და მთები...

მთებიც ქათქათებს თეთრად
ილიას აგრე რომ შეუქია...

ამ სახლს მზრუნველის ხელი ატყვია
და მისი შუქი ელავს უქრობად, —
ღამის წყვილი ვინც შეარყია,
ვინც ბნელს გზა-კვალი გადაულობა!

ღაჩუჯის ველი

ქართველის ფიქრი ლექსად იღვრება,
ისე ვერ გასძლებს ქართველის გული!
მაგრამ სხვა არის შენი სიმღერა
დურუჯის ტალღას დაჯახებული.

ყვარელი.

მთები.

აპრილის დილა.

მწვანეში ღელავს გზა და ბილიკი, —
დურუჯის ტალღის მსუილი მხიბლავს,
რომ იტყორცნება ლოდზე პირიქით.

შემომალამდეს ყვარლის უბეში,
დურუჯის ტალღის ქუხილი მესმას...
როგორც შენ ჭექედი სიჭაბუკეში,
ისეთი სიტყვა იჭექოს ლექსმა.

მირზა ფაგალი ახუნდოვის საუდაკვა

მთელმა საბჭოთა ხალხმა აღნიშნა აზერბაიჯანული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის მირზა ფაგალი ახუნდოვის გარდაცვალების სამოცდათხუთმეტი წლის თავი.

მირზა ფაგალი ახუნდოვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. მოძვე აზერბაიჯანის უდიდესი პოეტის, დრამატურგისა და მოაზროვნის მირზა ფაგალი ახუნდოვის საიუბილეო თარიღი განსაკუთრებული სიყვარულით იზეიმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა.

ნ აპრილს თბილისის მშრომელები, ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები შეიკრიბნენ მირზა ფაგალი ახუნდოვის საფლავზე.

საფლავი ქართველი მწერლების სახელით გვირგვინით შეამკეს გ. ლეონიძემ და ს. ჭილაიამ.

ფოტო რ. აკოფოვისა



კოლმეურნეობის

ეროვნული
გინზბურგისა

თ ა კ მ ჯ ლ მ მ ს რ მ

პლიზბარ უბილაკა



← კოლმეურნეობაში შენდება წყალ-საქაჩი ბალ-ვენახების მოსარწყავად.

ფოტოზე: კოლმეურნეობის თავ-მჯდომარე სოფიო მარიდაშვილი (მარ-ცხნივ), მეზღვეთა ბრიგადირი დ. კა-ციაშვილი და მშენებლობის უფროსი, ინჟინერი ვ. გვენცაძე ათვალიერებენ მორწყვის გეგმას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სოფიო მარიდაშვილი და პაშა ანგელინა!
ეს ორი სახელი დიდი ხანია ერთმანეთის განუ-ყრელი თანამგზავრი გახდა; ეს ორი სახელი ხშირად ერთად წარმოითქმება — თუმცა ერთი ქართველია და მეორე უკრაინელი, ტერიტორიულადაც მრავალი ასეული კილომეტრით არიან ერთმანეთს დაშორებული.

აი, ჩვენ ვხედავთ სოფიო მარიდაშვილისა და პაშა ანგელინას სურათს, გადაღებულს კრემლში 1946 წელს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ისინი ბელადის ახლოს სხედან. ბელადის გარშემო, მათთან ერთად შემოჯარულია მრავალი მოწინავე ადამიანი. ბელადი ყველა მათგანს მშობლიურად უდიდის და ეალერსება. ამ დღიდან და ალერსში ჩანს ბელადის სიყვარული ადამიანებისადმი, პატივისცემა მათი საქმიანობისადმი, ზრუნვა მათი მომავლისათვის.

რამ დააახლოვა ერთმანეთთან ქართველი სოფიო მარიდაშვილი და უკრაინელი პაშა ანგელინა? რამ გახადა ისინი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისა და მით უფრო ბელადთან სურათის გადაღების დღისი?

აი პირველი კითხვები, რომელიც არ შეიძლება არ აღეძრას ადამიანს, როდესაც ნახავს სოფიო მარიდაშვილს — ამ უბრალო ადამიანს. მაგრამ საკმარისია სოფიოს ბიოგრაფიაში ჩაიხედო, მის განვლილ რთულ გზას გადახედო, მის საქმიანობას ოდნავ გაეცნო და ყველაფერი ნათელი გახდება...

გაგეგონებთ ქვემოთ — შუა ქართლის ეს აყვავებული სოფელი!

სოფლის ბოლოს, მტკვრისპირას, აღმართულია ძველისძველი ციხის ნანგრევები. ლეკიანობის დროინდელი ძეგლია ეს ციხე. უფრო ხემოთ ქსილისისა და ცხავერის მთის კალთებზე შეფენილია ისტორიული სოფელი ნოსტე და დიდი მოურავის ბრძოლების სასპარეზო ადგილები. მტკვრის გაღმა-გამოღმა, ტიტველი მთების შეფენებზე, ჩანან სათოფურებ-დატანებული ციხე-კოშკების ნანგრევები.

მტრის ურდოების თარეშის, რბევისა და

აწიოკების — წარსული ცხოვრების ამ ტრაგიკული ნაშთების ფონზე გოლიათურად მოჩანს წინსვლის, შენებისა და აყვავების უბადლო სურათები. ამ სურათებში წინა პლანზეა ქვემოთმოხსენიებული, პურის ყანები, შაქრის ჭარხლის ნათესები. ჩვენ ვხედავთ ქვემოთმოხსენიებულ და ამლორძინებულ ადამიანთა მზით დაფერილ, მართალ სახეებს. მათ შორის ვხედავთ ამ სოფლის აღორძინების ერთ-ერთ ენერგიულ მოამაგეს, თმაშევერცხლილს და პატიოსანი შრომით ამალღებულ ღირსეულ ადამიანს სოფიო მარიდაშვილს.

მრეცხავობიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე-

ს. მარიდაშვილი (მარჯვნივ) მეცხოველეობის ფერმაში.



მდე, სილატაკიდან შეძლებულ ცხოვრებამდე, — ასეთია სოფიოს ცხოვრების გზა.

სოფიო მარიდაშვილის ბიოგრაფია განუყრელად არის დაკავშირებული ახალი სოფლის დაბადებასა და აღორძინებასთან.

— დიდხანს ეცხოვრობდით მიწურში მე და ჩემი ოჯახი, — გვეუბნება სოფიო, რომელიც მისივე შრომით აგებული ოთხთავლიანი სახლის ბუნართან ზის და ბედნიერების ღიმორეული, თვალეში ჩასცქერის სახეგაბადრულ შვილიშვილს პატარა გულნახს. — ეცხოვრობდით ისე, როგორც ადამიანს არ ეცხოვრება. ისეთი ღარიბი იყო აქაური მოსახლეობა, რომ ერთი საზიარო ზალათ-შარვლით ათი კაცი ქორწინებოდა. ურწყავ მინდვრებს კავით ვჩიქნიდით, სიმწრის ოფლს ვღვრიდით და ძლივს მოგვყავდა სარჩო-საბადებელი.

ადრე შევიგნეთ, რომ ხსნა მხოლოდ შეერთებულ შრომაში იყო. კოლმეურნეობის დაარსებიდანვე მე ერთი პირველთაგანი ვიყავი, რომელმაც ჩემს თავს შთავაგონე — მემუშავა კეთილსინდისიერად და პატიოსნად, მემუშავა ისე, როგორ შრომასაც ჩვენგან მოითხოვდა მშობლიური სტალინი...

და აი წარმოიდგინეთ, მე ყოფილი მრეცხავი, შავი მუშა და მოჯამაგირე უტეხ კოლმეურნეობის მერგოლური გავხდი. მერგოლურობა კიდევ არაფერი, მე შევძელი ჩვენი მიწის ნაყოფიერება გამოიმჩინა — გამედიდებინა შაქრის ჭარხლის მოსავალი. კოლმეურნეობაში შესვლიდან რამდენიმე წლის მანძილზე მე შევძელი ჰექტარზე 160 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღება, ხოლო 1946 წელს ჩემმა რგოლმა ჰექტარზე 1.021 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა.

ამ უმაგალითო წარმატებამ განსაზღვრა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ს. მარიდაშვილის არჩევა და მისთვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭება...

სწორედ ასეთი თავდადებული და გულმოდგინე შრომის შედეგად გახდა ღირსი სოფიო მარიდაშვილი კრემლში შეხვედროდა ცნობილ



ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

ამ ღონისძიებაში მშრომელები სამართლიანად ხელა-ვენ მასების კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მკაფიო გამონახატულებას.

ფოტოზე: ახალი, შემცირებული ფასებით ვაჭრობის პირველი დღე „თბილგას-ტრონომში“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

უკრაინელ მეჭარხლეს პაშა ანგელინას. კეთილსინდისიერმა საკოლმეურნეო შრომამ გახადა ორივე მათგანი ღირსი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილები პირნათლად წამდგარიყვნენ დიდი ბელადის წინაშე და დემსახურებინათ მშობლიური სტალინის მადლობა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის მეცხრამეტე ყრილობაზე, როდესაც ჩვენი ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი ტრიბუნასთან სიტყვას ამბობდა, სოფიო მარიდაშვილი შუა დარბაზში მღელვარებისაგან თავს ვერ იკავებდა. როგორც კი დაასრულა ბელადმა სიტყვა და აზვირთდა სიხარულის და აღტაცების ტალღა, ოვაციის ამ ტალღამ გაიყოლია სოფიო მარიდაშვილი და იგი სულ ახლოს უკრავდა ტაშს დიდების შარავანდედით მოსილ ბელადს.

სოფიო მარიდაშვილს უთუოდ ჰქონდა საფუძველი ბელადთან ასეთი თამამი შეხვედრისათვის. ბელადის ყველა დავალება მას კოლმეურნეობაში პირნათლად ჰქონდა შესრულებული. მსვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, ღორის სულადობის გეგმა მას გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული, არ აკლდა არც ერთი ფრთა ფრინველი; ხორბლის და

ყურძნის უზვი მოსავალი ჰქონდა მიღებული. კოლმეურნეობაში ჰყავდა ისეთი მოწინავე ადამიანები როგორც არიან: მებაღეობის ბრიგადირი დიმიტრი კაციაშვილი, მებაღეები: ანა მამულაშვილი, რუსუდან თათარაშვილი, ელენე გეჯაძე, ჯიშთა გამოცდის ბრიგადირი ვანტანგ ბიძინაშვილი, ფერმის გამგეები: იოსებ ბერუაშვილი და გაბრიელ ბატკუაშვილი, ცნობილი მეჭარხლეები: მარიამ დეი-

საძე, თამარ მკედლაშვილი, ვარა ლომიშვილი... ბელადის სიტყვით გამოწვეული ოვაცია არ ცხრებოდა... სოფიო აღტაცებული შეჭლიმოდა ჭადარით შევერცხლილ ბელადს და გულში ფიქრობდა იმ ახალ შრომითი წარმატებებზე, რომელსაც მან და ქვემოთგომის მთელმა კოლმეურნეობამ უნდა მი-აღწიოს ლენინ-სტალინის უძღველი პარტიის სა-დიდებლად.

ქვემოთგომის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში.





ქველი ქალაქის სიჭაბუკე

პირობლ ჩიქოვანი

ქალაქი ერევანი გარშემორტყმულია მთებით, გაშლილია ვაკეზე და ამფითეატრად ასდევს ფერდობებს, ადის ტაფობებზე და აგრძელებს თავის დიდ გზას. ერევანი როგორღაც მოგაგონებთ თბილისს, არა მარტო იმიტომ, რომ ქანაქერის მთა, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე არტყია ქალაქს, წაგავს ჩვენს ბებერ თაბორის მთას, ქანაქერის გზატკეცილი და ხეივანი კი კოჯრის გზატკეცილს და კომკავშირის ხეივანს.

მტერთან ბრძოლებში იბრძმებოდა სომეხი და ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცე. ყოველი საშინელი და გამანადგურებელი შემოსევის შემდეგაც კი ორი მოძმე ვრი დაუყოვნებლივ იკრებდა თავის დაუსრუტელ ძალას, რომ ფერფლიდან კიდევ უფრო ძლიერი აღედგინათ თავიანთი ქალაქები.

ორი ძმა ქალაქი ყოველ გაჭირვების დროს მზად იყო ხელი გაეწვინა და მიშველებოდა ერთმანეთს. სომეხ და ქართველ ხალხთა მრავალსაუკუნოანი მეგობრობის ისტორიაში არასოდეს არ ამოიშლება ერეკლე მეორის 1751 წლის გმირული ლაშქრობა თავრიზის მფლობელის ახატანის წინააღმდეგ ერევნის დასაცავად.

სომეხი და ქართველი ხალხის სამხედრო და პოლიტიკურმა გაერთიანებამ თამარ მეფის დროს, ორი მოძმე ვრის ერთობლივმა ბრძოლებმა საერთო მტრის წინააღმდეგ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისში სომეხთი და საქართველო კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან.

არც მარტო ამ გმირული წარსულით ჰგავს ერთმანეთს ერევანი და თბილისი.

ამ ორ ქალაქს შორის მსგავსება ყველაზე ნათლად იმაში მოჩანს, რაც ერევანში და თბილისში უკანასკნელი 32 წლის მანძილზე აშენდა და გაკეთდა. ყველაფერზე მეტად, აი, ეს ახალი, საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილი ამსგავსებს და აკავშირებს ამ ქალაქებს ერთმანეთთან.

„ძმურ სიყვარულით სახლი ავაგეთ, ვაშენეთ ერთად და ერთად ვიცავთ, ის მთელ ქვეყანას სხივით ანათებს, ზედ მეგობრობა სწერია ფიცად“. მიმართავს პოეტი ნაირი ხარისანი ქართველ ხალხს. ეს მეგობრობა მრავალი საუკუნის მანძილზე ფიცად ეწერა სომეხი და ქართველი ხალხის მიწაზე, სომეხი და ქართველი ხალხის გულზე, მაგრამ ჩვენი მეგობრობა ისეთი სისრულით და სიმტკიცით არასოდეს არ ყოფილა შეკრული, როგორც დღესაა.

არც ერევანი ყოფილა თავისი არსებობის ათასი წლის მანძილზე ასეყავებულში, მონუმენტური, დიადი, სიცოცხლითა და დოვლათით სავსე, როგორიც იგი დღეს არის. ურიცხვი და გულქვა მტრების დარბევის შემდეგ იგი ვერ იქნა და ვერ გასწორდა წელში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერევანს, თავისი ქვეტიკრის ერთსართულიანი სახლებითა და მიწურებით, მართალია ქალაქი ვერქვა, მაგრამ დაბას უფრო წაგავდა. მის ვიწროსარკველიანი ქოხმახებში სიბნელე, სინესტე და გაჭირვება სუფევდა.

დღევანდელი ერევანი — ეს მრავალსართულიანი შენობების, დიდი მაგისტრალის, მოედნების, მონუმენტების, ქარხნების, მუზეუმების, თეატრებისა და ბაღების ქალაქია. ერევანი ინდუსტრიული გიგანტების — მანქანათმშენებლო-

ბის, საფეიქრო, ქიმიური და სხვა მრავალი მიძიმე და მსუბუქი მრეწველობის ქალაქია. ერევნელები ორასამდე სახელწოდების სამრეწველო საქონელს აწარმოებენ. ერევნის საქონელს დღეს ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის ყოველ რესპუბლიკაში შეხვდებით. ერევნის ქარხნები დიდ დახმარებას უწევენ კომუნისმის მშენებლობებს.

30 წლის მანძილზე ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა სამჯერ შეიცვალა. ქალაქის რეკონსტრუქციის პირველი გენერალური გეგმა 1921-26 წლებში იქნა შედგენილი და 15 წელიწადში უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ სომეხი ხალხი ისეთი ერთუხიანობით და სიყვარულით შეუდგა თავის დედაქალაქის შენებას, რომ თხუთმეტი წლის საქმე ხუთ წელიწადში დაამთავრეს.

საჭირო შეიქნა ახალი გეგმის შემუშავება. ამ გეგმით შენდებოდა ერევანი ომამდე. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ქალაქმა უფრო სწრაფად იწყო ზრდა. გამოირკვა, რომ არც მეორე გეგმა აკმაყოფილებდა ქალაქის ზრდისა და განვითარების ტემპებს.

შედგა მესამე გეგმა!

რატომ იზრდებოდა ქალაქი ასე სწრაფად, რატომ შეიქნა საჭირო სულ რაღაც 30 წლის მანძილზე ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის სამჯერ შეცვლა და გადიდება? როგორ გაკეთდა ხუთ წელიწადში ის, რაც თხუთმეტი წლით იყო დაგეგმილი?

იმიტომ რომ სომეხი ხალხი არ კმაყოფილდებოდა მოპოვებული წარმატებებით, ის აშენებდა მომავლის ქალაქს, მას არ აკვირებდა მიწურების გვერდით აღმართული პირველი ხუთსართულიანი სახლების მონუმენტური კორპუსები. არ აკვირებდა, რომ იმ ქუჩის ადგილას, სადაც წინათ სახედარი სახედარს ვერ ჩაუვლიდა, 48 მეტრის სიგანის პროსპექტი გაჰყავდათ. იქ, სადაც წინათ მუხლებამდე ტალახი იდგა, ფილაქანს აგებდნენ.

არ კმაყოფილდებოდნენ იმიტომ, რომ ვაჭარ შუსტრაგის კონიაკის ქარხნის მუშის ოჯახს, რომელიც წინათ ბნელ მიწურში ცხოვრობდა, ახლა სამოთახიანი ბინა ეკავა განიერფანჯრებიან და მაღალტყევიან სახლში.

მათ იცოდნენ, რომ ასეთ ბინებს ელოდნენ ის გლეხები, რომლებიც გულში კოლმეურნეობებიდან მოვიდნენ ერევანში და დღეს ურთულეს დახვედზე მუშაობდნენ, ნოვატორები და რაციონალიზატორები გახდნენ.

როცა ერევნელებმა ქალაქის ცენტრში ლენინის სახელობის ულამაზესი მოედანი ააშენეს, ისინი იმაზე ფიქრობდნენ, რომ ასეთივე გრანდიოზული და მიმზიდველი მოედნები აუშენებინათ ქალაქის ყოველ კიდევ — ბერისა, მიქოიანის და აზიზბეგოვის რაიონებში.

ასე იზრდებოდა ქალაქი. რამდენიმე წლის წინათ მდინარე ჰრახდანის გვერდით ჩაუდოდა ქალაქს, ახლა ეს მდინარე შიგ ქალაქში გადის. ეს დაუდგარი მთის მდინარე ქალაქის მშენებლად გადაიქცა. ჰრახდანის მარჯვნივ და მარცხნივ შენდება სანაპირო, ბახალტის ქვისაგან ამოყავთ საყრდენი კედლები. აგებულია რკინა-ბეტონის შესანიშნავი ხიდი „გამარჯვება“.

ქალაქის სამხრეთ ნაწილში შენდება მეორე ხიდი — კაშხალი, რომელიც

შეგატეხეს წყალს და შექმნის პატარა ზღვას მის გარშემო გაშენდება ტყე, ბაღები. ქალაქს სამ წრედ შემოგარტყმება მწვანე ზოლი. პირველი ზოლი გაივლის შიგ ქალაქში, მეორე—მთებზე, მესამე—ქალაქგარეთ. ახლო მომავალში ქალაქი მთლიანად დაცული იქნება ჩრდილო-აღმოსავლეთის მტერიანი ქარები-საგან.

ყველაფერ ამას ერევენლები აკეთებენ დიდი მასშტაბით, მაღალი ტემპებით. ამიტომ ძველდებოდა გეგმა, რომელიც პირველად გრანდიოზულად ეგენებოდა, ამიტომ უსწრებდა გეგმას ერევენლთა საქმე და მის წარაგება.

— ისეთი ტემპით გრძელდება რეკონსტრუქცია, რომ ახლავს შეიძლება ვთქვათ: მესამე გენერალური გეგმით გათვალისწინებული ვადებს და ნორმებს ბევრად გაუსწრებენ ქალაქის მშენებლები, — ამბობს ქალაქის მთავარი არქიტექტორი სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ალაბაძე.

ქალაქის საბჭოს დარბაზის მაღალ კედლებზე სახლების, მოედნების, მაგისტრალის ნახაზები და ფოტოები ჰქვია, გრძელ მაგიდებზე მაკეტები დგას.

გ. ალაბაძე დღე ფანჯარასთან დგას, იგი ხელს იშვერს ქალაქის ცენტრისაკენ, მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უშესანიშნავეს მოედნისაკენ.

მარმარილოს მაღალ კვარცხლბეკზე დგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძველი გლადიმერ ილიას-ძე ლენინისა. იგი მთელ მოედანს დაჰყურებს. მის წინ მოჩანს თეთრი, ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული კულტურის სასახლის ულამაზესი შენობა, თავისი ვრცელი აუზით და შადრევნით. კულტურის სასახლის მარცხნივ მთავრობის სასახლის კორპუსები აღმართული, მარჯვნივ „არარატ-ტრესტის“ დიდი ვარდისფერი ქვის შენობა.

— აი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის მარცხნივ, ახლად ამოყვანილი კედლები რომ მოჩანს, სასტუმროს შენობაა, — ამბობს ქალაქის მთავარი არქიტექტორი, — ეს იქნება მთელ ქალაქში ყველაზე უფრო ხეივანოვანი და კომფორტაბელური სასტუმრო. მარჯვნივ აღმართული ხარაჩოები, პროფკავშირების მომავალი სასახლეა. ეს ორი შენობა კიდევ უფრო დაამშვენებს ლენინის მოედნის შესანიშნავ შენობათა ანსამბლს.

ერევანში ვერ ნახავთ ვერც ერთ მოედანს, პროსპექტს, რომ იქ ან საცხოვრებელი, ან ადმინისტრაციული სახლი არ შენდებოდეს. მთელი ქალაქი ხარაჩოებშია, მთელი ქალაქი გრანდიოზულ სამშენებლო მოედანს წარმოადგენს.

— ათობით არქიტექტორის დაუცხრომელ შრომაში, უძილო ღამეებში მოპოვებულ ძიებებში დაბადებული ქალაქის სოციალისტური სახე დღითი დღე სულ უფრო და უფრო მკვეთრად ვლინდება, — სიამაყით ამბობს გ. ალაბაძე. მის განარბებულ, ენერგიით და სიცოცხლით აღსავსე შავგვრემან სახეზე იგრძნობთ და მიხვდებით, რომ მას ცოტა ღვაწლი არ მიუძღვის ქალაქის მშენებლობაში.

— ძველი ერევანი ჰაბუკური ცეცხლით შენდება და ცხოვრობს. იგი ყოველდღე თავისუფლდება ერთსართულიანი სახლებისაგან, სულ უფრო ფართოდ მიიბიჯებს, აღარ ეტყვა ვიწრო ქუჩებში... — არქიტექტორი ჩუმდება, უღიმის ერევნის ხვალისდღე დღეს და თვალები უბრწყინავს, — წინ კიდევ უფრო დიდი გეგმებია, უფრო ნათელი დღეებია.

არა მარტო არქიტექტორები, ინჟინრები და ქალაქის მშენებლები, ერევნის ყველა მცხოვრები, დიდი და პატარა, გატაცებულია ქალაქის ხვალისდღეით დღით.

ორნახევარ კილომეტრზე გრძელდება 48 მეტრის სიგანის სტალინის პროსპექტი. პროსპექტზე ყველა სახლი ახალია. სახლები ნაგებია დიდი ყვირით, დიდი ვარდისფერი და თეთრი ქვით. პროსპექტს ქანაქერის მთიდან ბელადის მონუმენტი გადმოჰყურებს. ქვევით, შორს მოჩანს ღრუბლებში თავშერგული არარატი. პროსპექტის სიღამახით მოხიბლულმა, 80 წლის მანდილოსანს ანუშ არმენიანს ვთხარია, რა დივებულია - მეტი ერევანი.

— ხვალ იგი კიდევ უფრო დიდებული იქნება! — სიამაყით მიპასუხა მონუმენტმა.

ჰაბუკური სიცოცხლე ქალაქის არა მარტო გარეგან სახეში იგრძნობა, მას თქვენ ნახავთ ქარხნებში, დაწესებულებებში, სკოლებში, ინსტიტუტებში, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების და მეცნიერების ლაბორატორიებში.

33 წლის მანძილზე სომხეთის დედაქალაქში 13 ინსტიტუტი და მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია დაარსდა. აქ არის სომხეთის მეცნიერებათა აკადემია თავის გამოჩენილ მეცნიერთა მრავალრიცხოვან რაზმით. ქალაქში 7 მუზეუმი, 3 თეატრი და 40 კინოთეატრი და კლუბია. ყოველ წელში წადს 6-7 სკოლის შენობა შენდება.

გაოცებას იწვევს წიგნის მაღაზიების და ჟურნალ-გაზეთების კიოსკების სიმრავლე. ქალაქს 36 ბიბლიოთეკა აქვს. მის საჯარო ბიბლიოთეკაში მილიონზე მეტი წიგნია აქა მატინადარანი — სომეხი ხალხის უძველეს ხელნაწერთა საცავი, რომელშიც 10.000 ხელნაწერი ინახება. აქ არის მეზუზე საუკუნის თარგმანები, არის მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე, მეათრემეტე საუკუნეების სომეხ მწერალთა, მეცნიერთა და მხატვართა წიგნები. ეს უძველესი ერის, დიდი კულტურის და პანათლების ძეგლებია.

სომეხი ხალხის მისწრაფება სწავლისა და განათლებისაკენ არასოდეს ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც დღეს. აქ არა მარტო ქალაქი იზრდება გასაოცარი სისწრაფით, ასევე სწრაფად იზრდება ხალხი, მისი კულტურული დონე.

აქ თქვენ გაკვირვებთ არა მარტო ქალაქი, გაკვირვებთ ადამიანები. მე დავესწარი ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე სოფელ შენაკავიტის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბ. მკრტიჩიანის მონსტრებს, რომელიც ეხებოდა იმას, თუ როგორ მიღწია კოლმეურნეობამ

საქონლის მაღალ პროდუქტიულობას. პროფესორები, დოცენტები და სტუდენტები გატაცებით უსმენდნენ თავმჯდომარეს. ისინი სწავლობდნენ მისგან.

13 წლის იყო ონიკ ოჰანიანი, როდესაც მამასთან ქარხანაში მივიდა და შეგირდად დაუდგა. ორი წლის ბეჯითი სწავლისა და მუშაობის შემდეგ 15 წლის ჰაბუკი ზეინკლად მუშაობდა. ახლა იგი ერევნის ავტოტექნიკის ქარხანის უმაღლესი თანრიგის ზეინკალია, რამდენიმე გამოგონების და რაციონალიზაციის ავტორია, 12 ზეინკლის აღმზრდელი ოსტატია.

— ონიკ ოჰანიანი 1960 წელში ცხოვრობს, — მეუბნება საამქროს უფროსი. მე გაკვირვებით შევაჩერდი მას. საამქროს უფროსმა გაიღიმა:

— დიან, დიან, 1960 წელში, ოჰანიანმა 7 წლის გეგმა შეასრულა და ახლა 1960 წლის ანგარიშში მუშაობს. იგი თავის საქმით 1960 წელში ცხოვრობს. ჩვენ ბევრი გეგმაც ასეთი სახელოვანი ადამიანი, მან თვალი მოავლო საამქროს, — აი, ზინაიდა მილიუხინა. იგი ჩვენს ქარხანაში დამლაგებლად მუშაობდა. სიყვარულით დატრიალებდა თავზე ურთულეს დაზგებს. მის თვალბეჭდში ცითხულობდა, რომ გოგონა გატაცებული იყო მათი საიდუმლოების გაგებით. ზინაიდას სწავლა უნდოდა, უნდოდა დაუფლებოდა მანქანას. მას დაეხმარნენ. დღეს მილიუხინა მესამე თანრიგის მღარავია და ისიც 1960 წლის ანგარიშში მუშაობს. სახელოვანი ქალი წელს მეორედ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ავტოდეტალების პირველი მექანიკური საამქროს მესამე ხაზის ოსტატებად მუშაობენ ნოდარ ტაბატაძე და გოჩა გვეტაძე. მათ შარშან ქუთაისის ავტოტექნიკუმი დამთავრეს და ერევანში გამოემგზავრნენ სამუშაოდ. პირველ ოთხ თვეს ისინი გამწყობად მუშაობდნენ და მთელი საამქროს ყურადღება მიიქცევს თავიანთი თავდადებული შრომით: 18 წლის ჰაბუკები მესამე ხაზის ოსტატებად გადაიყვანეს. ასეთი დაწინაურებით აღფრთოვანებულნი მეტი ენერგიით და სიყვარულით მოეკიდნენ საქმეს, გარდა ამისა ისინი ამიერკავკასიის იმ პირველ ქალაქიდან იყვნენ, რომელიც საკუთარი წარმოების ავტომობილებს უშვებს. მათ არ შეეძლოთ თავიანთი საქმით და მუშაობით მოწინავე არ ყოფილიყვნენ.

პირველ მექანიკურ საამქროში თითქმის ყოველ დღე ნახავთ კედლებზე გაკრულ „ელვას“: „ნოდარ ტაბატაძე და გოჩა გვეტაძე დღითი ნორმა 200 პროცენტით შეასრულეს! მიბაჩეთ ტაბატაძეს და გვეტაძეს!“


ერევანში არა ერთსა და ორ ქართველს ნახავთ. ისინი მუშაობენ ქარხნებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, სწავლობენ ინსტიტუტებში და უნივერსიტეტში. ქუჩებში ხშირად გაიგონებთ ქართულ ლაპარაკს. აქ მუშაობენ და ცხოვრობენ რუსები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები. ყველა ისინი ერთ დიდ საქმეს აკეთებენ — მიღწიონ სახალხო მეურნეობის ამაღლებას, რომ კიდევ უფრო უკეთ იცხოვროს საბჭოთა ადამიანმა, კიდევ უფრო სამეური გახდეს მისი ცხოვრება.

როგორ არა ჰგავს საბჭოთა ერევნის ცხოვრება მისი კარის მეზობელი ქვეყნის თურქეთის დედაქალაქის ცხოვრებას, რა ღრმა უფსკრულია აღმოსავლეთის ამ ორ ქალაქს შორის.

იქ შიმშილი, სიღატაკე და გაჭირვება. ანკარის ქუჩებზე ამერიკული ავტომობილები, მის ეკრანებზე — ამერიკული ფილმები მკვლევლობებზე, ძარცვა-გლეჯაზე. მის მაღაზიებში ამერიკული საქონელი, მის ქუჩებში ამერიკული დოლარის მძიმე ქუსლი. თურქეთის დედაქალაქ — ანკარაში ამერიკული მბრძანებელი. აი, ანკარის დღევანდელი ბნელით მოცული დღე.

ერევნის ნათელი დღე სულ უფრო მზიანი ხდება. ძველი ქალაქი ჰაბუკური ცეცხლით შენდება და ცოცხლობს. არა, აქ არ ისმის ამერიკული დოლარის მძიმე ქუსლის ხმა. აქ კომუნისმის ნაბიჯების ხმა ისმის.

ერევანი. სომხეთის კ. კ. ც. კ-ის შენობა.





ალექსი მაჭავარიანი

მოსკოვის რადიო ხშირად გადასცემს კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტალინური პრემიით აღნიშნული სავიოლინო კონცერტი. ეს ნაწარმოები სამართლიანად ითვლება საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ახალ მიღწევად. იგი მტკიცედ დამკვიდრდა სიმფონიური ორკესტრების რეპერტუარში.

ამავე კონცერტმა ყურადღება დაიმსახურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. როგორც რადიოგადაცემებში, ისე საკონცერტო პროგრამებში ეს კონცერტი შეტანილია და ხშირად სრულდება. პრესის ფურცლებზე გამოჩენილი მუსიკისმცოდნეები მაღალ შეფასებას აძლევენ ა. მაჭავარიანის შემოქმედებას და განსაკუთრებით მოიხსენიებენ ხოლმე მის სავიოლინო კონცერტს. „მაჭავარიანი ნაწარმოებებს ქმნის თავისი ხალხის სიმღერებისა და ცეკვების საფუძვლებზე: ამას ისე ჩინებულად ახერხებს, რომ მისი მუსიკა გასაგებია ყველა ერისთვის ადამიანებისათვის“ — სწერენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების რეცენზენტები.

„დასასრულის allegro vivo-ს ცხოველმყოფელი მუსიკა აღსავსეა ოპტიმიზმით. ეს allegro დამყარებული ხალხურ რიტმზე შეერთებული ბრწყინვალე მელოდიასთან, გამოხატავს საბჭოთა ხალხის სიცოცხლისმოყვარეობას, ოპტიმიზმსა და ენთუზიაზმს“ — ასეა დახასიათებული დემოკრატიული ბერლინის პრესაში მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი.

ალექსი მაჭავარიანი ქართველ კომპოზიტორთა ახალი თაობის უნიჭიერესი წარმომადგენელია. მან მრავალი ღირსშესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებით გაამდიდრა ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურა. იგი ერთნაირი პასუხისმგებლობით მუშაობს როგორც დიდი ფორმის, ისე მცირე ფორმის ნაწარმოებებზე. მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საგუნდო სიმღერებსა და რომანსებს. ამავე დროს მას ეკუთვნის ორმოცამდე დრამატული სპექტაკლის მუსიკა.

კომპოზიტორი ამაჟამად მუშაობს ორატორიაზე „ჩემი სამშობლოს სიმღერები“. ორატორია მ ნაწილისაგან შედგება და განკუთვნილია ორი სოლისტის გუნდისა და ორკესტრისათვის. კომპოზიტორს განზრახული აქვს ორატორიაში ასახოს ჩვენი ქვეყნის უდიდესი გამარჯვებები კომუნისმის მშენებლობაში, თავისუფალი და გამარჯვებული ხალხის ამაღლებული შრომითი პათოსი.

ალექსი მაჭავარიანი ერთდროულად მუშაობს ბალეტ „ოტელიოზე“. ბალეტის ლიბრეტო მის მიერვე არის დაწერილი.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ალექსი მაჭავარიანი ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა: ის არის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი და შემოქმედებითი სექციის თავმჯდომარე.

კ. ნარიანიძე

მხარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ახალი კლუბის ჰერის მოხატვა გადასწყვიტა და ეს საქმე მონუმენტური ფერწერის ოსტატ რობერტ სტურუას მიანდო. მან სტურუას მაც კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე დამტკიცდა.

იგი გამოხატავს სოფელ შრომის კოლმეურნეთა სინარულს უკრაინის გენჩენსკის რაიონის ფაშისტების ურდოებისაგან განთავისუფლების გამო. შრომაში შეჯობრებამ ერთმანეთთან დაახლოვა და დაამეგობრა გენჩენსკის რაიონის სტალინის სახელობისა და სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობი. ჰიტლერულ ურდოების მიერ გენჩენსკის რაიონის ოკუპაციის გამო ევაკუირებულ კოლმეურნეთა ოჯახები შრომელთა შეინიჭნეს, მიიღეს როგორც მშობლიური, ახლობელი ადამიანები. მხარაძელ კოლმეურნეებს სტურუასთან ერთად ახარებდათ საბჭოთა არმიის გამარჯვებები და მათთან ერთად ელოდნენ იმ დროს, როდესაც ჰიტლერული ტრანისისაგან გენჩენსკის რაიონიც განთავისუფლდებოდა. აი, რადიომ გადმოსცა ეს სასიხარულო ცნობაც. შრომელთა დიდი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდნენ ამ ამბავს.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა განიზრახეს სტალინური მეგობრობით გამოწვეული ეს სიხარული აღბეჭდილიყო მონუმენტურ ფერწერულ სურათზე, რომელიც დაამშვენებდა შრომის ახალ კლუბს.

მხატვარმა რობერტ სტურუამ სწორედ ამ თემის ფარგლებში დამუშავა თავისი კომპოზიცია.

რობერტ სტურუას ფუნჯს ეკუთვნის უკვე საყოველთაოდ ცნობილი მონუმენტური ფერწერის ნაწარმოები „გამარჯვება“, რომელიც ჰიათურის თეატრის პლაფონს ამშვენებს. ეს დიდი კომპოზიცია ესეა შესრულებული, რომ გამარჯვებით გამოწვეულ სახალხო ზეიმში მონაწილე თვითული პერსონაჟი თავის ინდივიდუალურ სახეს ატარებს. ამ ნაწარმოებმა საერთო აღიარება და სტალინური პრემია დაიმსახურა.

რობერტ სტურუა ამაჟამად მუშაობს მონუმენტურ კომპოზიციაზე „საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობა“. ეს ნაწარმოები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კედლისათვის არის განკუთვნილი.

მხატვრის ჩანაფიქრით ეს სურათი უნდა გამოხატავდეს ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას და საბჭოთა ადამიანის სიამაყეს იმ კონსტიტუციით, რომელმაც მას ბედნიერი შრომისა და ცხოვრების უფლება მიანიჭა.

რობერტ სტურუა 1916 წელს დაიბადა გამოჩენილი რევოლუციონერის ვანო სტურუას ოჯახში. მას ბავშვობიდან იტაცებდა მხატვრობა. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1943 წელს დაასრულა. მისი ხატილომოდ ნამუშევარი იყო ფერწერული სურათი „ბერია ხევსურეთში“. ამ სურათმა, როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ნიჭიერი მხატვარი დაოსტატებისათვის გაიგზავნა მოსკოვში და სწავლობდა მხატვარ გრაბარის მონუმენტური ფერწერის კლასში.

ქართულ მონუმენტურ ფერწერას დიდი ტრადიცია ჰქონდა შორეულ წარსულში. მხატვრობის ამ დარგის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში გახდა შესაძლებელი. სოციალისტური მშენებლობის დიდი გაქანების, საბჭოთა ადამიანების თავისუფალი შრომისა და ცხოვრების ჩვენებისათვისა მოწოდებული ასეთი ფერწერა. მონუმენტური ფერწერა დამშვენებს ჩვენს სახსნელებს, კლუბებს და სხვა სახის საზოგადოებრივ შენობებს.

ამ დარგის მხატვრობის ჩინებული და ნიჭიერი წარმომადგენელია სტალინური პრემიის ლაურეატი რობერტ სტურუა.

ი. ნათაძე



შთაგონების დაუბრკელად წყარო



1937 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“. ამ სპექტაკლმა ფასდაუდებელი როლი შეასრულა საბჭოთა თეატრის შემოქმედებით განვითარებაში და ღრმა კვალი დასტოვა ჩემს რეჟისორულ და მსახიობურ შემოქმედებით ცხოვრებაში.

ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაში პირველად მხვდა წილად ბედნიერება განმესახიერებინა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის ლენინის როლი მშობლიურ სცენაზე.

ჩემს წინაშე იდგა ამოცანა არა მარტო პორტრეტული მსგავსების მიღწევისა. პიესის მცირე მონაკვეთზე მე უნდა ჩავწვდომოდი „მთის არწივის“ შინაგან სახეს. ლენინის სცენურ სახეზე მუშაობამ მთელი სიღრმით დასვა საკითხი ისტორიულ კონკრეტულ გარემოს ზუსტი დადგენისა. ამ როლზე მუშაობამ მომიტანა დიდი შემოქმედებითი სიხარული, რადგან ხალხთა ბელადების ლენინისა და სტალინის სახეების სცენური წარმოსახვა არის და მუდამ იქნება მსახიობისათვის ჭეშმარიტი შემოქმედებითი აღმაფრენისა და შთაგონების დაუსრუტელი წყარო.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
აკაკი ვახაძე

ეკანზე და სცენაზე

ჩვენი ქვეყნის ეკრანზე და გრიზოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველთაგანს მხვდა წილად განმესახიერებინა კაცობრიობის გენიოსის ხალხთა საყვარელი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი სახე.

მთელი ჩემი ენერჯია, შემოქმედებითი ნიჭი და შესაძლებლობა მოვახმარე ამ მეტად საპატიო საქმეს, რათა ღირსეულად შემეხსრულებინა ჩემს წინაშე დასახული რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა.


საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. მიუფკე

ფოტოზე: კადრი ფილმიდან «დიადი განთიადი». საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. კ. მიუფკე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის როლში. —>

ლენინის სახე

მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ წილად მხვდა განმესახიერებინა დიდი ლენინის სახე ქართულ სცენაზე 1942 წელს, პოგოდინის „კრემლის კურანტებში“ და 1947 წელს მ. ჭიაურელისა და ლ. ასათიანის პიესაში „1917 წელი“.

ჩემს წინაშე რთული ამოცანა იყო დასახული. ამ უადრესად საპასუხისმგებლო როლზე მუშაობის დროს მე მუდამ თვალწინ მდგა ლენინი — კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლი უდიდესი ადამიანი. მე, როგორც მსახიობმა ამოცანად დავისახე ღრმად ჩავწვდომოდი ლენინის სახეს, გადმომეცა ამ დიდი ადამიანის უბრალოება, მისი სწრაფი მოსაზრება და რეაგირება მოვლენებისადმი. ლენინი სწუხს — ეს მთელი ქვეყნის წუხილია. ლენინი იცინის — ეს მთელი ქვეყნის ნათელი დიმილია. ყოველივე ეს მე უნდა გამესახიერებინა სადად, უბრალოდ. წავიკითხე მრავალი მოგონება ლენინზე, მათ შორის ჩვენი დიდი მწერლის მაქსიმ გორკისა, რომელშიაც მისთვის ჩვეული ოსტატობით არის გადმოცემული დიდი ლენინის შინაგანი ბუნება.





ამ როლის განსახიერებისას უცნაური იყო ჩემი აქტიორული შეგრძნობაც. მე იმდენი ვიმუშავე ამ სახეზე, რომ ჩემი ხმა და მეტყველება ლენინის ხმად და მეტყველებად მეჩვენებოდა. განსაკუთრებით მე ხელს მიწყობდნენ ჩემი პარტნიორები, მათი მეტად გულწრფელი და სათუთი დამოკიდებულებით ამ სახისადმი.

ლენინის სახე ქართულ სცენაზე ჩემს მიერ შესრულებულ როლებიდან ჩემთვის ყველაზე უსაყვარლესი და ძვირფასია.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
კვიციანი კობახიძე





25 წელი სხანაზე

აფიშასთან ახალგაზრდები შეგკუფებულან. იმდენი არიან, რომ ერთმანეთს უშლიან წაკითხვას. აფიშასთან ახლოს მდგომი ხმა-მალა აცხადებს:

- „საქართველოს ესტრადის მსახიობთა კონცერტი. მონაწილეობენ...“
- როდისთვისაა დანიშნული? — ვეღარ ითმენს ერთი.
- ხვალისთვის!
- კვანტალიანი მონაწილეობს?
- მონაწილეობს!

ეს პასუხი ღიმილს იწვევს ახალგაზრდათა სახეებზე. ყოველ მათგანს ახსენდება საყვარელი მსახიობის მიერ შესრულებული კომიკური როლების ესა თუ ის სცენა, და უნდათ კიდევ მოუსმინონ სიცილის ოსტატს, სულ ერთია პიესის გმირი იქნება იგი, თუ საესტრადო მინიატურების შემსრულებელი.

აკაკი კვანტალიანი ეკუთვნის იმ მსახიობთა რიცხვს, რომლებიც აღზარდა და სასცენო ასპარეზზე გამოიყვანა სახელოვანმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

სასცენო მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში მსახიობმა საბჭოთა-მაყურებლის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე პიესებში კომიკური როლების შესრულებით.

ამას წინათ მარჯანიშვილის სახ. თეატრში გაიმართა სტალინური პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის აკაკი კვანტალიანის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო. მაყურებელი გულთბილად შეხვდა ნიჭიერ მსახიობს.

ფოტოზე: აკაკი კვანტალიანი მანუჩარის როლში („კოლმეურნის ქორწინება“).

ქართველ მხატვართა ოჯახის უზუცესი წევრის აკადემიკოს მოსე ივანეს ძე თოიძის დაბადებიდან 80 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლის იუბილე ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა, როგორც საბჭოთა კულტურის დღესასწაული.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა იმ დეაწლს, რომელიც მხტვარს მიუძღვის ქართული ხელოვნების წინაშე: მოსე თოიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება, იგი დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

მოსე თოიძე პირველია იმ მხატვართა შორის, რომლებმაც ქართული რეალისტური სახვითი ხელოვნება თვისობრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს; მოსე თოიძე სოციალისტური რეალიზმის პირველი მეკვლეა ქართულ ფერწერაში. გარდა ამისა, მოსე თოიძემ ათეული წლების მანძილზე თავისი დაუღალავი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგად აღზარდა მთელი თაობა ქართველი მხატვრებისა, რომლებიც ამჟამად ემსახურებიან საბჭოთა კულტურის წინსვლისა და აყვავების საქმეს.

მოსე თოიძის პირველი ცდები მხატვრობაში მიეკუთვნება ყრმობის წლებს, გატარებულს ჯერ საქალაქო სკოლაში, ხოლო შემდეგ სახელისწილ სასწავლებელში, აქ დაუახლოვდა იგი მუშათა წრეებს, აქ გაიზიარა ხალხის ჭირვარაში, აქ ჩამოყალიბდა მისი შეგნება ყველა-კრატული იდეების საფუძველზე. დიდ მაქსიმ გორკისთან სახლოვებ კიდევ უფრო გაამყარა ახალგაზრდა თოიძის წინაშე მხატვრის ინტერესი ამჟამად ემსახურებიან საბჭოთა კულტურის წინსვლისა და აყვავების საქმეს.

1896 წელს მოსე თოიძე მიემგზავრება პეტერბურგს. პეტერბურგში, მისი ნიჭით მოხიზლული დიდი რუსი მხატვრის ი. ე. რეპინის შუამდგომლობით, ახალგაზრდა მ. თოიძე შედის სამხატვრო აკადემიაში. იწყება სწავლა, იწყება თავდადებული ბრძოლა ოსტატობის დაუფლებისათვის. რეპინის პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი პრინციპები იმთავითვე აითვისა და შეისისხლბორცა აღმნიშნა, რომელმაც მრავალი წელი თავისი ცხოვრებისა შემდეგში უანგაროდ მოახმარა ქართველი მხატვრების აღზრდის საპატიო საქმეს.

სტუდენტობის წლებში შესრულებული ნამუშევრებიდან ნათლად ჩანს, რომ მ. თოიძის მხატვრული აზროვნების საფუძველს «პერსონაჟების» რეალისტური ხელოვნება წარმოადგენს. ამასთან ერთად მის შემოქმედებაში უანგაროდ განუხრდალად ასაზრდოებს მშობლიური კუთხიდან გამოყოლილი მხატვრული სახეები. «მცხეთობა» (1899-1901) არის პირველი დიდი სურათი, რომელმაც მ. თოიძეს მოუხვეჭა ფერწერის გამორჩენილი ოსტატის სახელი. სურათი ასახავს სახალხო დღესასწაულს. შესანიშნავად არის გადმოცემული სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა სახეები: უღარიბესი გლეხის, კონკრეტული გამოხვეული მათხვარი ბავშვის და მესტირე — პოეტის შთაგონებული სახის გვერდით მხატვარი იძლევა შეძლებულ წრიდან გამოსულ, სმა-ჭამით გალღობულ ჯგუფს. ყოველივე ამას მხატვარი გააძღვეს ორგანოულ კავშირში, დრამატიზმითა და მღელვარებით.

პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობის გამო მოსე თოიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა პეტერბურგი. იგი ბრუნდება საქართველოში. მომდევნო წლებში იგი ჰქმნის მთელ რიგ შესანიშნავ რეალისტურ ნაწარმოებებს, რომლებსაც ქართული ხელოვნების საგანძურში საპატიო ადგილი უკავიათ. ასეთებია: «დედის პორტრეტი», «გერაელი», «მწვანდ წყავს», «მრეცხავი», «ხელოსანი» და სხვ. ამ სურათებში მხატვარი გვევლინება, როგორც ღრმა ფსიქოლოგიური დანახათების ოსტატი, როგორც შემოქმედი, რომლის ფერწერა დაფუძნებულია რუსული რეალისტური სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით იწყება მოსე თოიძის შემოქმედების ახალი, განუხრელი წინსვლის პერიოდი. 1918 წელს იგი წერს სურათს «რევოლუცია», რომლითაც ენაშურება რუსეთში მოხდარ უდიდეს ისტორიულ ვარდატებს.

1922 წელს, საბჭოთა მთავრობის ხელისშეწყობით მ. თოიძე აარსებს საქართველოში პირველ სახალხო-

სამხატვრო სტუდიას და თვითონ ხელმძღვანელობს მას. სტუდიის არსებობის 6 წლის მანძილზე (1922-1928) მასში სწავლობდა 880 მოსწავლე, ძირითადად გამოსული მუშათა და გლეხთა ფენებიდან. სტუდიის სახელთანაა დაკავშირებული პირველი სახალხო მოძრა-ვი გამოფენების მოწყობა, ბრძოლა ახალი თემატიკის დამკვიდრებისათვის ქართულ ხელოვნებაში და, რაც მთავარია, ხალხის წარღვი ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინებისა და სტუდიის მეშვეობით, სახვითი ხელოვნების ასპარეზზე მათი გამოყვანის საქმე. ამ მხრივ მოსე თოიძის დეაწლი ქართული საბჭოთა კულტურის წინაშე — ფასდაუდებელია.

მოსე თოიძის მხატვრული მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალი საფეხურია მთლიანად ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. მოსე თოიძის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ხელოვნებაში ისტორიულ-რევოლუციური ქანრის დამკვიდრება და განვითარება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი ესკიზი სურათისათვის «ამხანაგი სტალინის გამოსვლა წულუკის დასაფლავებაზე ქ. ხონში» (1934 წ.). სურათში ღრმა მხატვრული გააზრებით არის მოცემული პეიზაჟი, რომელიც ორგანიულ კავშირშია აღმნიშნავი ფიგურებთან. კომპოზიციის ცენტრს — ამხანაგი სტალინის მეტყველ ფიგურას, ემორჩილება ნაწარმოების ყველა დეტალი. ამ ნაწარმოებით მ. თოიძემ ქართველ მხატვრებს ისტორიულ-რევოლუციურ ქანრში მუშაობის სანიშნო მაგალითი მისცა.

ქართული მხატვრული კულტურის განვითარების ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაწარმოებმა «ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის». ამ ნაწარმოებმა საყოველთაო შემოქმედებითი ენთუზიაზმი გამოიწვია. მოსე თოიძის ფუნჯს ამასთან დაკავშირებით ეკუთვნის მთელი რიგი სურათებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია «ამხანაგი სტალინი უკითხავს ჭიათურელ მუშებს კომუნისტურ მანიფესტს», «ამხანაგი სტალინი ესაუბრება წყალტუბოში გლეხებს» და სხვ. ყველა ეს კომპოზიციები ხასიათდებიან ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაში ძირითადი, წამყვანი მოვლენის დანახვითა და მისი გამოკვეთილად წარმოდგენით.

სამამულო ომის წლებში მოსე თოიძის შემოქმედება პირნათლად ემსახურება მტერზე გამარჯვების სახალხო საქმეს. მხატვარი ჰქმნის მთელ რიგ ნაწარმოებებს, რომელთა შორის გამორჩევიან «ფრთხი ფრონტიდან» და «თბილისელი ქალები ამზადებენ საჩუქრებს ფრონტისათვის». ეს უკანასკნელი წარმოადგენს დიდი განზოგადოების ტილის აქცერებულს ცოცხალი, ხალისიანი ფერებით.

სამამულო ომის დამთავრებისა და საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად მსკობიანი მხატვარი სწერს დიდ კომპოზიციას «გამარჯვების სიმღერა» (1948). ეს სურათი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მხატვრისა. იგი მოწმობს იმას, რომ მხატვარი მუდამ ახალი თემებისა და მათი ახლებური გადაწყვეტის ძიებაშია.

ამჟამად მოსე თოიძე, 80 წლის სახალხო მხატვარი, კვლავინდებურად სავსეა ახალგაზრდული ენერჯითა და შემოქმედებითი რწმენით. იგი 23 წელია დაუღალავად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ის საყოველთაო სიყვარული, რომელსაც მოსე თოიძე იმსახურებს საბჭოთა ხალხის წინაშე უმაღლესი ჯილდოა მისი მრავალწლოვანი, თავდადებული შრომისათვის. ამ სიყვარულის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მისი დეაწლის მაღალი შეფასება.


მ. ჭკლიძე

თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი

ჩანართის ოთხივე გვერდზე მოთავსებულია — მოსე თოიძის სურათების ფოტორეპროდუქციები. (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).




ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამხანაგი სტალინის შეხვედრა ამხ. კალინინთან
თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში

სტალინის სიტყვა წულუკიძის დაკრძალვაზე





ხტულენტი ამხანაგის პორტრეტი




გამარჯვების სიმღერა




მხატვრის ღელა

მწვანე წვეს



ხელოსნის პორტრეტი

ძველი თბილისი. მემარჯვენე





ბედნიერი ცხოვრება



წერილი ფრონტიდან

დედებატის უთაბეჭდილება



6. ჯაპანიშილი-კოპიანიძე

საქართველო

გასული წლის დეკემბერში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩატარდა მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესი.

ავსტრიაში გამგზავრების წინ, შვედეთში მომხდლა ყოფნა. შვედეთის ტერიტორიაზე 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ყოფილა ომი. წარსულ მსოფლიო ომებში შვედეთს ოფიციალურად არ მიუღია მონაწილეობა. მაშინ როდესაც ევროპის მატერიკზე ხგრევა და ცეცხლი მძვინვარებდა, შვედეთის კაპიტალისტები თოფ-იარაღის გაყიდვით მდიდრდებოდნენ. როდესაც ერთი შეხედვით ათავალიერებთ სტოკჰოლმს, აქ ვერ ნახავთ ვერც ვენის, ვერც ლონდონის, არც მით უმეტეს ბერლინის ნანგრევების მსგავს რამეს. შენობები მთელია, მცენარეულობით შემოვლილი, მთავარ ქუჩებში ლამაზი ელექტრო-რეკამები, მაღაზიები სასეა საქონლით... მაგრამ ამა ცტა ახლოს ნახეთ ეს ყველაფერი! რა გამოირკვევა? მაღაზიები სასეა, მაგრამ უქმეების წინაც კი მათში მყიდველი არ შედის. რით იყიდოს შვედეთის, ინგლისის, ავსტრიის ან სხვა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელმა, თუ კი ხელფასის ერთი მეოთხედი, ან მესამედი ბინის ქირად უნდა გადაიხადოს, ხოლო ამდენივე გადასახადების სახით? ხელფასი კი ყოველდღიურად ჰკარგავს თავის რეალურ ღირებულებას ფასების გათუყვეტელი ზრდის გამო.

შვედეთში, ავსტრიაში ძალიან კარგი მუხუშემებია: ისტორიული, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების და სხვა. მაგრამ სადაც კი მოგვიხდა ყოფნა, ყველან ჩვენ მარტონი დავდიოდით ცარიელ დარბაზებში. ხალხის ხელმოკლეობა ამამიაც მკვეთრად ჩანდა. განსაკუთრებით ვიგრძენი უცხოეთის მუხუშემების სიცარიელე მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც ტრეტიაკოვის ჯალრების ხალხით სასეა დარბაზებში გავიარე.

საოცარი კონტრასტის შთაბეჭდილებას ახდენდა შვედურ მუხუშემებში საყოველთაოდ ცნობილ ოსტატების შედეგების გვერდზე „ახალი კულტურის“ ნიმუშები, რომელთაც ნახატცი კი არ შეიძლება ეწოდოს.

განხილვ გატარებული ოამდენიმე ფერადი ზოლი, წარწერით: „პორიზონ-ტალური კომპოზიცია“. თუ შეატრიალებთ 90-ით, შეგიძლიათ ვერტიკალურ კომპოზიცია უწოდოთ. ან მაგალითად სხვადასხვა ფერის ქალღმისგან გამოტარილი სამკუთხედები, ოთხკუთხედები და სხვა ფორმის გეომეტრიული სხუელები, უწესრიგოდ დაკრული მუხუშემების ფონზე, საბავშვო ბაღის რომელიმე ცულუტეტი მოწადის ნამუშევრის მსგავსად. ანდა ფერების უცნაურ შეხამება, ყოველგვარი ფორმის გარეშე. და ყველა ამ უმსგავსობას სრული სერიოზულობით სხვადასხვა სახელწოდებები აქვს, რომლებიც რაღაც შინაარსს უნდა გამოხატავდეს. ყველას ავტორის სახელი აწერია.

როდესაც ასეთ სურათებს ვნახულობდი, ყოველთვის მებადებოდა კითხვა — რამ აიძულა ადამიანი ასე უსარგებლოდ, ასე მავნედ დახარჯოს დრო? რასაკვირველია ეს ყველაფერი კაპიტალიზმის ხრწნის, კულტურის დაცემის და გადაგვარების შედეგია, მაგრამ მე მინდოდა უფრო ახლო, უფრო მარტივად უშუალოდ დამენახა ამ პროცესის მექანიზმი. და მომეცა კიდევ ამის შესაძლებლობა.

სტოკჰოლმში, შვედეთის ქალთა დემარტხენე კავშირმა მიტინგზე მიმიწვია. ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ დამსწრენი შემომხვივნენ, მე-კითხებოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების იმ მხარეებზე, რომელიც ჩემს მონსენებში არ იყო გაშუქებული, მეცნობოდნენ, მიამბობდნენ თავისი ცხოვრების შესახებ. აქ გავიცანი ერთი მხატვარი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელია. კარგა ხნის წინათ ის საბჭოთა კავშირშიც კი ყოფილა. მისი ცხოვრების ისტორია ფრიალ ტიპიურია. ოცი წლის განმავლობაში იგი უმუშევარია. თავს ირჩენს იმ მცირე გასამარჯელოთი, რასაც მისი ცოლი ლეზულობს რომელიღაც დაწესებულების კანცელარიაში. „მაგრამ მე მაინც გმუშაობ, არ მინდა დავეცე სულთერად, — მეუბნებოდა ახლად გაცნობილი, — ბევრს გმუშაობ, თვეში 20 — 30 სურათს „ვაკეთებ“, თუმცა ძალიან ცოტა იყიდება“.

კრიზისი და უმუშევრობა სულ უფრო და უფრო მკვეთრი ხდება შვედეთში, სულ უფრო და უფრო მძიმე ტვირთად აწევა მშრომელების საარსებო დონეს ამ ქვეყანაშიაც კი, რომელსაც წარსული ომის ნგრევა არ განუტლია. სტოკჰოლმში, გოეტებორგში და სხვაგან, მე მომიხდა ოამდენიმე სამკურნალო დაწესებულების დათვალიერება. მაჩვენეს კერძო საავადმყოფოები, რომლებშიაც მკურნალობის რეჟიმი და მომსახურება კატეგორიულად არის დაყოფილი, ფასის მიხედვით. მაგრამ ყველაზე დაბალი კატეგორიის ღირებულებაც კი იმდენად დიდია, რომ ჩვეულებრივი მოქალაქისათვის იცა მიუწვდომელია. ასეთ კერძო საავადმყოფოებში ავადმყოფმა უნდა გადაიხადოს, როგორც საავადმყოფოში წლის ყოველდღიური საფასური, ისე ყოველი ცალკე პროცედურის ღირებულება — შეხვევის, ანალოზის, წამლის, გასინჯვის ფასი და ვინ მოსთვლის კიდევ ოამდენი რამ შეიძლება დასჭირდეს ავადმყოფს. ასეთ საავადმყოფოზე ფიქრიც არ შეუძლიათ მშრომელებს.

ძალიან ძნელი იყო სწორი და ამომწურავი პასუხის მიღება ღირეციისაგან როგორი მიღწევები აქვს საავადმყოფოს ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის საქმეში, ძნელი იყო გარკვევა თუ რამდენს მუშაობს ექიმი ან ექთანი, მაგრამ ოამდენადაც ეს შესაძლებელი ვახდა გამოვარკვეე, რომ შვედეთში, ისევე როგორც ინგლისში, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ექიმები შეტად გადატვირთულნი არიან. თვითუღს 50-60 სტაციონარული ავადმყოფი ჰყავს, გარდა ამისა ყოველი მათგანი ლეზულობს პოლიკლინიკურ ავადმყოფებს. რამდენს? — რამდენიც მოვა. გარდა ამისა, ექიმი კვირაში ორჯერ, ან მეტჯერაც მორიგეობს.

კომუნალური საავადმყოფოების დათვალიერების დროს დამებდა კითხვა, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი შედეგების ხალხის მოთხოვნებს. გამოირკვა, რომ ჩვეულებრივ ავადმყოფები ორი, სამი კვირის, მთელი თვის ან მეტე ხნის განმავლობაშიც კი ელოდებიან საავადმყოფოში დაწოლის რიგს, მაგრამ არის ე. წ. დეფიციტური სპეციალობები, მაგალითად ნეიროქირურგია — ასეთი ავადმყოფები ერთი, ორი წელი უტდიან ადგილს კომუნალურ საავადმყოფოში. ყველაფერი ამის შემდეგ, ალარ იყო საჭირო შეკითხვა საექიმო მომსახურების ხარისხისა და მკურნალობის შედეგების შესახებ. მთავარი ისაა, რომ არც ეს კომუნალური საავადმყოფოებია უფასო.

• • •

მოუხედავად ყველა სიძნელებისა, რომლებიც ელობებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში კეთილი ნების ადამიანებს, ვენაში თავი მოიყარა დედამიწის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა.

არასოდეს, კაცობრიობის ისტორიაში, ერთად არ შეკრებულან ასე უსყუარეს რესალ განსხვავებული მდგომარეობის ადამიანები, როგორც მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესზე.

ჯერ მარტო გარეგნულადაც, ერთი შეხედვითაც კი, ექვი არ შეგებარებოდა, რომ ეს შეკრებულება ნამდვილად სახალხო და ნამდვილად მსოფლიო.

შთაბეჭდილებას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ბევრ დელეგატს ნაციონალური ტანისამოსი ეცვა. მოკლე კაბიანი შოტლანდიელის გვერდზე, ნახავდით თავით ფეხებამდე წამოსასხამი გახვეული მაროკოელი.

კონგრესი გაიხსნა 12 დეკემბერს, ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შესავალი სიტყვით. მან მოკლედ დაახასიათა ის საფრთხე, რომელსაც ომის გამჩაღებლები უტყდიან კაცობრიობას. პირველი იმპერიალისტური ომის დროს მოკლული იყო 14 მილიონი ადამიანი, მეორე იმპერიალისტური ომის დროს მოკლული იყო 50 მილიონი ადამიანი, ხოლო ომით მიყენებული ზარალი 1.000 მილიარდ დოლარს აღემატებოდა. უკერაც არ არის მთლიანად აღრიცხული შვიდი წლის წინათ ხიროსიმაში და ნავასაკში დაღუპული რაოდენობა.

წარსულში პაციფისტური ორგანიზაციები ვერ აღუდგა წინ, ვერც პირველ და ვერც მეორე მსოფლიო ომს. ამიტომ, დასკვნა ჟოლიო-კიურიმ, ამგვარი ორგანიზაციები არ გამოდგება, საჭიროა არა მარტო ომის უარყოფა, არამედ ბრძოლა, მედგარი ბრძოლა მშვიდობის დასაცავად. კონგრესს ბევრი პიროვნება ესწრება, — თქვა ჟოლიო-კიურიმ, — რომელსაც ცხოვრებაში სხვადასხვა გზა აქვს, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ, — მათ არ უნდათ ომი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საჭირო იყო ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, მშვიდობის მოძრაობის განვითარება. ამჟამად მშვიდობის მოძრაობა იმდენად ძლიერია, რომ მისი აღარც მოსაზობა შეიძლება და აღარც გაქარწყლება. ცხადია ცალკეული პირების მიერ გაწეული წინამძღვრობა ვერავითარ შედეგს ვერ მოატანს, გაერთიანების გარეშე, ომის საშინოროებას ვერ ავიცილენთ თავიდან.

მშვიდობის დაცვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამ ძირითად მიმართულებას: 1. ნაციონალური დამოუკიდებლობის და უშიშროების საკითხს,

2. ამჟამად წარმოებული ომების შეწყვეტის საკითხს და

3. არსებული საერთაშორისო დამატულობის შესუსტების საკითხს.“

ამ სამი პრობლემის გარეშე მოუწოდა მან კონგრესს გაეშალა აზრობა გაცვლა-გამოცვლა.

მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესის პლაკატი.





მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესის ხსენების დარბაზში.

ცხადია, რომ ნაციონალური დამოუკიდებლობის საკითხი, რომლის გარეშე არ შეიძლება იყოს გარანტირებული არავითარი მყარი მშვიდობა, სხვადასხვა-ნაირად დგას სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს შორის, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა წინაშე.

სადღეისოდ, კოლონიური, ნახევრად კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

როდესაც კონგრესი ისმენდა აფრიკის და აზიის ჩაგრული ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლების გამოსვლას, როდესაც კოლონიური ქვეყნების დევნა-გატეხვა გვიხატავდნენ ექსპლოატაციის საშინელ სურათებს, გასაგები ხდებოდა, თუ უმადლესი ტექნიკით აღჭურვილი იმპერიალისტები რატომ ვეღარ იძორჩილებენ უიარაღო ადამიანებს.

მაროკოში 14.000 პოლიციელი და მხოლოდ 200 ექიმი. ერთი ექიმი მოდის 45.000 მცხოვრებელზე ქალაქად და 120.000 მცხოვრებელზე სოფლად. მაროკო ბავშვების სიკვდილიანობის თვალსაზრისით მსოფლიოში ყველაზე კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფება.

ალჟირში 1.700.000 ბავშვი მოკლებულია სკოლას, მოსახლეობის 90% წერა-კითხვის უცოდინარია. კოლონიზატორები აბატონებენ, აწამებენ, კლავენ ყველას, ვინც კი ხმას ამოიღებს მათ წინააღმდეგ.

ტუნისელმა დელეგატმა არტმან ალემი განაცხადა: ხელისუფლება სდევნის მშვიდობისმოყვარე ტუნისელ ხალხს. ირატორმა ათიოდე გამოჩინილი პროგრესული მოღვაწე დასახელა, რომელთაც ამჟამად საკონცენტრაციო ბანაკებში აწამებენ. დაბატონებულია ტუნისის მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციის მდივანი. მოკლულია განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მისი სხეული აჩვენეს და ქუჩაში დააგდეს ხალხის დასაშინებლად. ყველა ტერორი მშვიდობისაა. აბატონებენ, კლავენ აშკარად თუ ფარულად, აწყობენ ინსცენირებულ კატასტროფებს, ზვრეტენ დემონსტრაციებს, ტუნისში ნამდვილი ომია. ქალაქებში სამხედრო პირების მეტი არაფერ არ ჩანს.

და ყველაფერი ამის შემდეგ, ბატონი შუმანი ამტკიცებს, რომ ტუნისი თავისუფალია! რომ კოლონიური პოლიტიკა ჩამორჩენილი ხალხების განვითარების საუკეთესო საშუალება!

მაროკოელმა დელეგატმა გვიამბო, რომ კასაბლანკაში დემონსტრაციის, რომელშიაც ოცდაათი კაცი მონაწილეობდა და რომელიც მოითხოვდა ნაციონალურ დამოუკიდებლობას, პოლიციამ ტყეია დაუშინა. მოკლული იყო 1.000-ზე მეტი და დაჭრილი იყო 2.000-ზე მეტი ადამიანი. ასეა ყოველთვის. ყოველგვარი უფლებების მოთხოვნა დიდი მსხვერპლით მთავრდება.

„მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ასეული მშვიდობის მომხრე დაბატონებულია, თქვა ტალიანდის დელეგატმა — და ჩვენც დაბრუნებისას ბატონობა გვექვს, მე მაინც გეგანავებთ ტალიანდელი ხალხის სახელით და ვაცხადებ ჩვენ მზადყოფნას — თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობის დასაცავად“.

ნაციონალური დამოუკიდებლობის საკითხი არა ნაკლებ მტკივნეული იყო სამხრეთ ამერიკის ხალხებისთვისაც. ლათინური ამერიკის არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი არ გამოსულა კონგრესზე, რომ ხაზი არ გაესვა და ძირითადად არ ელაპარაკა იმ საშინელ ჩაგრვაზე, რომელსაც განიცდიან ეს ქვეყნები აშშ მთავრობისაგან.

ბოლივიელმა მწერალმა ლარამ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მინერალური საბადოებით ყველაზე მდიდარია მსოფლიოში, მაგრამ ბოლივიას აშშ მიერ აკრძალული აქვს ლითონის გაყიდვა და სამაგეროდ იმ პროდუქტების ყიდვა რომელიც ხალხს ესაჭიროება. აშშ მონოპოლისტების წყალობით უმდიდრესი ქვეყანა, ბოლივია, შიმშილობს.

კუბის დელეგატმა აღნიშნა, რომ აშშ ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოქმედობს როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გზით. ზღუდრავს ეკონომიკას, წარმოების დახურვით და ვაჭრობის აკრძალვით საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, იძულებით თავზე ახვევენ შეიარაღებას, ხოლო ყველაფერი ეს ხალხის საშინელ გალტაცებას იწვევს.

კომბოჯოს, ლაოსის, ვიეტნამის წარმომადგენლების გამოსვლა კონგრესზე მოწმობდა, რომ აზიის ჩაგრულმა ხალხებმა შეიგნეს: თავისუფლება შეიძლება მოპოვებული იყოს მხოლოდ შეთანხმებული, კოორდინირებული ბრძოლით.

ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა პეტრუს კოკალეცმა ილაპარაკა სამხედრო პროვოკაციებზე, რომელთაც ყოველდღე ადგილი აქვს ბულგარეთის და ალბანეთის საზღვარზე და რომელიც ამერიკელების კარნახით კეთდება. ამერიკელები ისე დასერიანებენ საბერძნეთში, როგორც საკუთარ მიწა-წყალზე... პრესაში აღვირახსნილი რასისტული პროპაგანდა წარმოებს, მეზობელი ხალხების სიძულვილის პროპაგანდა. ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ომის სამზადის და

სამხედრო წარმოებას ხმარდება, რასაც ხალხი უკიდურეს გალტაცებამდე მიჰყავს.

მაგრამ მიუხედავად ყველაფერი ამისა საბერძნეთში დღითი დღე იზრდება და ძლიერდება მშვიდობის მომხრეთა ფრონტი, მიუხედავად დევნისა და ტერორისა, საბერძნეთში 5 მილიონი მშვიდობის მომხრეა.

დიდი ალტაცებით იყო მოსმენილი 400 ბერძენი პატრიოტის მისალმება კორფუს საპატიმროდან, რომელთაც სიკვდილი აქვთ მისჯილი. მათი მისალმება ფრიალ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნაციონალურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობდნენ ევროპის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლებმა. კონგრესის მიერ კვანძოვან საკითხს წარმოადგინდა ამჟამად წარმოუტყუარ ომების პრობლემა, განსაკუთრებით კი კორეის საკითხი, ამასთან დაკავშირებით ბატერიოლოგიური ომის და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა გამოყენების საკითხი.

ბევრი იყო თქმული ბოროტებაზე, რასაც აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, პოლანდიის და სხვა ჯურის იმპერიალისტები სჩადიან მალაიაში, ვიეტნამში, ინდონეზიაში, ლაოსში, კომბოჯოში, მაგრამ ის, რაც ამჟამად კორეაში ხდება ისტორიას არ ახსოვს.

პაკენის მთების მწვერვალები ორი მეტრით დაბალდა ყუმბარების ზემოქმედებით. წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ პოზიციების დამცველები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა ეს მწვერვალები მაინც ვერ აიღეს.

კორეელი ხალხის გმირობის ეს მაგალითი მოიყვანა პროფესორმა გო მო ჟომ. კორეელმა დელეგატმა ხან სერ იამ განაცხადა „მე მწვერალი ვარ და არა ეკონომისტი, წინათ მე არ ვუფიქრებოდი ციფრებს, მაგრამ არის უაღრესად მკვერძეტიველი ციფრები: ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში კორეაში ჩამოყრილი იყო 15 მილიონი ყუმბარა, ამავე პერიოდში ამერიკელმა მონობოლისტებმა მიიღეს 22 მილიარდი დოლარი სუფთა მოგება. წელიწად ნახევარის განმავლობაში მანამ კორეაში მოლაპარაკება სწარმოებდა დაწვევაზე, მოკლული და დაჭრილი იყო 87.000 კაცი, ხოლო ამ დროის მონაკვეთის პირველი ნახევრის განმავლობაში ამერიკელ მონობოლისტების მოგება 49 მილიარდი დოლარს შეადგენდა. აშშ მონობოლისტები 1952 წლის მოგებას 46 მილიარდი დოლარის რაოდენობით ვარაუდობდნენ.“

„აი ძირითადი მიზეზი, რის გამოც აშშ მთავრობას არ სურს ომის შეწყვეტა“ განმარტა პროფესორმა გო მო ჟომ.

კორეელმა ქალმა კინ ეკ სიმუ კონგრესის მიმართ — ჩემი ქვეყნის გაწამებულმა ქალებმა დამავალეს მეამბნა თქვენთვის ჩვენი ტრაგედიის შესახებ“. მან დასახელა კორეის ქალები, სოფლები, რაიონები სადაც ამერიკელებმა ამოქლიტეს მთელი მოსახლეობა, დასწვეს და გაანადგურეს ასეული ათასი შენობა.

კონგრესის მთელი მსვლელობა გადაღებული იყო, ეს ქრონიკალური ფილმი მალე გამოვა ეკრანზე, ყველა ნახავს თუ რა ოვაცია გაუმართეს კორეელ ქალს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ პირველად მას ამერიკელი დელეგატები გადაეხვივნენ, დაუწყეს კაცება, ხელში აიყვანეს და ასე გაატარეს დაუზღვევნი. ასევე მოიტყვნენ ფრანგი დელეგატები ვიეტნამელი დელეგაციის მიმართ. ამით კეთილი ნების ადამიანებმა კიდევ ერთხელ დაანახვეს მთელ მსოფლიოს რომ დამპყრობ ომებს აწარმოებენ იმპერიალისტური სახელმწიფოს ხელისუფალნი და არა ხალხი.

კაპიტალისტური სახელმწიფოების ხალხები სოლიდარობას უცხადებენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს.

ამერიკელი იმპერიალისტების ბარბარობაზე, რა შეიძლება იქნებოდა თქმულიყო იმაზე მეტი, რაც წარმოდგენილი იყო სპეციალურად მოწყობილ გამოვენაზე!

კონგრესის დელეგატებმა და ვენის მცხოვრებლებმა, თავისი თვლით ნახეს, ხელით შეეხებინ სიკვდილის ამ საშინელ იარაღს. გადაცხრილი ყუმბარები, რომლის თვითნებ კოლოფში ბატერიების მატარებელი სხვადასხვა სახის მწერები იყო; ბუმბულის ნაგლეჯები, ქალაქის ნაჭრები, გამხმარი ფოთლები — ყველაფერი ეს მომავლდინებულ სნეულებათა მიკრობებით იყო დატვირთული.

აი სიღამდე მივიდა ამერიკელების მეცნიერება, მათი კაცობრიობის მქადაგებელი კულტურა!

აქვე წარმოდგენილი იყო მძიმე ინფიცციების შედეგად მომკვდარი ადამიანების ორგანოები. ყველას შეეძლო დაენახა ის საშინელი ზიანი, რომელიც მოუტანეს კორეელ ხალხს ამერიკელების მიერ წარმოგზავნილი უჩინარმა მტრებმა.

გამოვენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ფოტოლოკუმენტაცია. ამერიკელი ტყვეების პორტრეტები, ხელმოწერილი ჩვენებები, იმის შესახებ, რომ ისინი აწარმოებდნენ ბატერიოლოგიურ ომს ჩინეთში და კორეაში. აქვე შეიძლება ამ ჩვენების ჩანაწერის მიკროფონით მოსმენა. მსურველს შეეძლო გაეგონა ამ ავაზაკების ხმა.

მაგრამ მიუხედავად ამ საშინელებისა, როგორც ვიცით ამერიკელებმა ბატერიოლოგიური იარაღის გამოყენებით მაინც ვერ მიაღწიეს სასურველ მიზანს ვერ გამოიწვიეს ინფექციურ სნეულებათა ვრცელი ეპიდემიები, ვერც ჩინეთში და ვერც კორეაში.

პროფესორმა გო მო ჟომ კორეელი და ჩინელი ხალხის მიერ დახარჯული ძალ-ღონე ბატერიოლოგიის ბრძოლის საქმეში, თავის მოკულობით, ეგვიპტის პირამიდების ასაგებად დახარჯულ შრომას შეადარა. გამოვენის ნახვის შემდეგ ეჭვი არავის დაუბადებოდა, რომ ეს შედარება გადაჭარბებული არ არის.

გარდა პლენარული სხდომებისა, კონგრესის მუშაობის პროცესში მრავალჯერ შედგა სექციური სხდომები, ცალკეულ საპროგრამო საკითხების უფრო დეტალურად განხილვისათვის. იკრიბებოდნენ სხვადასხვა სპეციალობის დელეგატები, თავისი ვიწრო — პროფესიული საკითხების განსახილველად.

ცნობილი ფრანგი ექიმის, პროფესორ ვილე-პალეს ინიციატივით შეიკრიბა ექიმ დელეგატების ჯგუფიც. ექიმთა ჯგუფმა გადაწყვიტა კონგრესისათვის რეზოლუციის წარდგენა. ცალკეული პუნქტების გამოამუშავების პროცესში გამოთქმული იყო მრავალი მოსაზრება, მოყვანილი იყო მრავალი მაგალითი იმისა, თუ რა მძიმე ტვირთად აწევს ხალხის ჯანმრთელობას, ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებას, ომის სამზადისი და გაძლიერებული შეიარაღება, რომელსაც ამერიკული იმპერიალიზმი თავს ახვევს მისგან დამოკიდებულ ქვეყნებს. ცნობილია, არგენტინელმა ქირურგმა, პროფესორმა ვილეო ლათინურ ამერიკის ქვეყნების ექიმების მიმართვა წაითხა. ამ დოკუმენტში კონკრეტულად, რიცხობრივად იყო გამოხატული სამხედრო ბიუჯეტის გავეცხადება სამხრეთ ამერიკის ხალხების ყოფაცხოვრებასა, ჯანმრთელობასა და განათლებაზე. პროგრესული აზრებისათვის ვეკით მოხსნილია თანამდებობიდან და ამჟამად უმუშევარი.

ალჟირელი ექიმები მოითხოვდნენ რეზოლუციით ცალკე პუნქტის შეტანას, კოლონიური ჩაგრვის გავეცხადებას ხალხის ჯანმრთელობაზე.

როგორც შემძლიან გაეჩუმდენ, როდესაც მთელი ჩემი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში არ მინახავს არც ერთი ჯანმრთელი ალჟირელი ქალი. ჩემი პაციენტები ან პირნაყვავილარი არიან, ან ტრაქიმიტ აქვთ გადნობ-რუნებული ქუთუთოები, ან ქლექით აქვთ გამრუდებული ხერხემალი, ათა-ცხრა

ბავშვიდან, რომელსაც ბაღებს ალყირელი დედა, მხოლოდ ერთი ან ორი ცოცხლობს, ბავშვთა სკვდლიანობა 70% აღწევს. ასე გამოიყურება სინამდვილეში ის „კულტურა და ცივილიზაცია“ რომელიც მოაქვთ კოლონიზატორებს ხალხისათვის — თქვა ალყირელმა გინეკოლოგმა.

ცნობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწის, პროფესორი კროუტერის მეთაურობით შეიკრიბა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი. აქ იყვნენ სხვადასხვა სპეციალობის და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კონგრესზე ერთდროულად რამდენიმე სექცია მუშაობდა, ისე რომ ზოგჯერ კონცერტაუზში ადგილიც არ იყო ხოლმე შეკრებისათვის. მეცნიერთა ჯგუფიც კაფეში შეიკრიბა, პლენარული სხდომის შემდეგ, დამის 11 საათზე, სადღაც პატარა ოთახში შეგვიყვანეს, ბევრნი ვიყავით და ვერ ვეტყოდით, მაგრამ სხვაგზა არ იყო. შუადღემდის აქ უნდა ვყოფილიყავით, სანამ სხვა დარბაზებში ბანქოს თამაში დამთავრდებოდა.

დელეგატების ამ ჯგუფმა აღნიშნა, რომ კაბიტალისტურ ქვეყნებში ამაყად ყველაზე მწვავედ დგას მეცნიერ მუშაკების მორალური კრედიტის საკითხი.

თვითონ კროუტერმა და სხვა ქვეყნების დელეგატებმაც მოიყვანეს მრავალი მაგალითი იმისა, რომ ცოდნის სხვადასხვა დარგის „მოღვაწეები“ ავრცელებენ აზრს ომის აუცილებლობის შესახებ, გაპყვირიან მოსახლეობის ქარბი გამორელების შესახებ და აქედან გამომდინარე ქადაგებენ, როგორც ხსნის ერთადერთ საშუალებას, ხალხთა მასიური მოუწოდებენ მეცნიერთა სამოსელში გახვეული უოლსტრეტის სტრუქტურა, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით. ერთი სიტყვით, ყველას — ქიმიკოსს, ფიზიკოსს, ბიოლოგს, გენეტიკოსს, ექიმს, იურისტს, ფილოსოფოსს მოუწოდებენ მეცნიერთა სამოსელში გახვეული უოლსტრეტის სტრუქტურის ლაქები, ცოდნა და ძალა არ დაიშურონ აზრის ქვეყნების ხალხთა გასაწყვეტად, რადგან იქ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მოსახლეობა.

მოგვმართეს ჩვენ საბჭოთა დელეგატებს, გამოგვეთქვა აზრი მალტუსის თეორიის შესახებ. მალტუსიანური პროპაგანდის უარყოფელ სხვა მრავალ საბუთთან ერთად ჩვენ მოვიტანეთ ერთი ილუსტრაცია: უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს 9,5 მილიონი ახალშობილი მოქალაქე შეემატა, ხოლო ცხოვრება სამ-ოთხჯერ გაიადფა, ფასების სისტემატური დაკლების გამო, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ანხორციელებს თავის მშვიდობიანი პოლიტიკის მეშვეობით.

რვა დღის განმავლობაში, მანამ კონგრესი მიმდინარეობდა, მუშაობა ძალიან დაძაბული იყო. სხდომები ყოველდღე დილის 9 ს. 30 წ. იწყებოდა და ზოგჯერ დამის ორ-სამ საათამდე გრძელდებოდა. გარდა საერთო პლენარული სხდომებისა მრავალი დელეგატი ჩაბმული იყო სექციების მუშაობაში. ამ რვა დღის განმავლობაში 17 პლენარული სხდომა ჩატარდა, და მასზე ორასამდე დელეგატმა გამოთქვა აზრი. დელამიწის 85 ქვეყნის წარმომადგენლებმა განაცხადეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ, მედგრად იბრძოლონ მშვიდობის დაცვადად.

ორიათასზე მეტი ადამიანი ჩაბმული იყო კონგრესის მომსახურებაში, თარჯიმნის, მეგანქანის, ადმინისტრატორის, ტექნიკური მდივნის სახით.

და ამდენი ხალხი, ოთხათასზე მეტი ადამიანი, გამსჭვალული იყო ერთი სურვილით — დაიცვას მშვიდობა, ებრძოლოს ომის გამჩაღებლებს.

კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, მოწოდების სახით, რომელშიც მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესი მოითხოვდა:

დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში, შეწყდეს საომარი მოქმედება ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯოში, მალაიაში.

შეწყდეს ძალდატანება ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ; პროტესტი ყოველგვარ რასისტულ ლისკრიმინაციას.

მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ კონგრესის დელეგატები გაეცნენ რა დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ აშშ მიერ ბაქტერიოლოგიური ომის დაუყოვნებლივ აკრძალვას და აქნევის კონვენციის რატიფიცირებას, ყველა სახელმწიფოს მიერ.

არსებული დაძაბულობის შესუსტების მიზნით კონგრესი მოითხოვდა ქვეყნებს შორის კულტურულ და ეკონომიკურ კავშირის გაფართოებას.

კონგრესმა მიიღო მიმართვა — ხუთი დღი სახელმწიფოს მთავრობისადმი, რომელშიც მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

ეს ორივე დოკუმენტი ჯერ წაკითხული იყო კონგრესის ტრიბუნაზე და შემდეგ გადაეცა ყოველი ქვეყნის დელეგატს განხილვისათვის. თვითონ დელეგატს ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი, შეეტანა შესწორება ან ცვლილება ყოველ ცალკე დებულებაში. საბოლოოდ დოკუმენტები მიღებული ითვლებოდა მათზე დელეგატების ხელის მოწერის შემდეგ.

დარგდა რეზოლუციის და მოწოდების ტექსტები და მთელი დარბაზი ამობრავდა. მთელი კონგრესი 85 ცალკე ჯგუფად გაიყო. ყველა დელეგატი ცალკე კითხულობდა, ცალკე იხილავდა შემაჯამებელ დოკუმენტებს. დელეგატები, რომლებიც რვა დღის განმავლობაში დიდი ყურადღებით უსმენდნენ კონგრესის გამოსვლას, უცებ ახმაურდნენ. დაიწყო განხილვა. გავიდა რვი-ოცდაათი წუთი და კონცერტაუზის სხვადასხვა კუთხეებში გაისმა ტაში, გაისმა შეახილვები, სიმღერები. ეს მოწობდა იმას, რომ ზოგიერთმა უკვე განიხილა და მოაწერა ხელი რეზოლუციას. პირველ შეახილვებს შემდეგი მოჰყვა, და სულ მალე ყველა დელეგატი დაამთავრა რეზოლუციაზე და მოწოდებაზე ხელის მოწერა.

სხვადასხვა ენაზე ისმოდა ერთი და იგივე სიტყვები: „გაუმარჯოს მშვიდობას“.

სხვადასხვა ქვეყნების ადამიანებმა გაუწოდეს ერთმანეთს ხელი და დარბაზში თავისთავად აღმოცენდა საერთო ფერხული, სიმღერით უშლიდნენ დარბაზს გარშემო და ფერხული სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

არ შეიძლება იმ ერთსულოვნების დავიწყება, რომელიც გამოაშკარავდა კონგრესის შეჯამების მომენტში.

ვენაში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაცია. კონგრესის დელეგატების წინ გაიარეს ვენის მცხოვრებლებმა. ქალები, კაცები, მოხუცები და ახალგაზრდები, ბავშვები მოდიოდნენ სიმღერით, ესალმებოდნენ მშვიდობისათვის მებრძოლებს, მოჰქონდათ ქალაქისგან გამოჭრილი მტრელები, პლაკატები — ლოზუნგებით, რომლებიც მშვიდობას მოითხოვდნენ, ზოგს უცხადებდნენ ომის გამჩაღებლებს. ხოლო როდესაც მზე ჩავიდა, დემონსტრაცია ჩირაღდების უქმზე გრძელდებოდა.

თავისუფალ დღეებში ვენას ვათვალიერებდით. ვიყავით ვენის პანთეონში. საბჭოთა დელეგაციამ ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკო მოცარტის, ბეთოვენის, შუბერტის, ბრამსის, შტრაუსის საფლავები.

ვინახულეთ ძმათა საფლავი, ჩვენი გმირი მებრძოლებისა, რომლებიც დილუპნენ ბრძოლებში ვენის განთავისუფლებისათვის ფაშისტ დამპყრობთაგან.

ვინახულეთ ვენის ცენტრალური რაიონები, რომლებსაც დღესაც ისევ აჩნია ბრძოლების კვალი, როგორც ომის დამთავრების მომენტში. ვენის ცნობილი ოპერის თეატრს შვიდი წლის განმავლობაში ალდაგენენ, მაგრამ ბოლო ჯგრაჯ არ უჩანს სამუშაოებს. ვნახეთ ძველი ვენაც, ვიწრო ქუჩებით, პატარა სახლებით, ფერადი დარბაზებით. ერთ-ერთ ასეთ პატარა სახლში ცხოვრობდა ბეთჰოვენი, მაგრამ იქ მუზეუმი არ არის. სახლი კერძოა და დღეს ამ ოთახებში მორიგი მოზინარეები ცხოვრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო და ციოდა, გადაწყვიტეთ მაინც გვენახა ვენის ტყე. თუმცა ხეები უფოთლო იყო და დარბაზილული, მაინც ძალიან დიდი სიამოვნება მივიღეთ. ამ თეთრ სამოსელში ტყე ზღაპრულად გამოიყურებოდა.

ტრადიციის სრული დაცვისათვის ვენის ოპერეტა ცინახულეთ. ახალს არაფერს დგამენ, უმთავრესად შტრაუსის, მილოკერის და სხვა ძველი კომპოზიტორების ოპერეტებია რეპერტუარში.

დადგმებს დიდი ხელმოკლეობის კვალი აჩნია.

21 დეკემბერს ავსტრიის კომუნისტებმა და ავსტრია — სსრკ მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო აშხ. სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგი მოეწყო იმ სახლის წინ, სადაც 1913 წ. იანვარში უცხოვრია აშხ. სტალინს და სადაც დაუწერია თავისი გენიალური ნაშრომი: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

ავსტრიის კომპარტას სახლზე მემორიალური დაფა გაუკეთებია აშხ. სტალინის ბარელიეფით.

მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესი ვენაში. ტრიბუნაზე — ფრედერიკ ჟოლიო-კიური.



კონსტანტინე გამსახურდია

ივანე ჯავახიშვილს მეცხრამეტე საუკუნეში ედგა ცალი ფეხი, მაგრამ იგი არსებითად იყო ჩვენი საუკუნის ხელშეწყობის მიმდევარი და განახლებული ქართული კულტურის დიდი მოამბე...

დიდი მეცნიერი გადასწვდა ჯუანშერისა და ლეონტი მროველის, თამარისა, და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსების, ვახუშტი ბატონიშვილისა და მარი ფელისიტე ბროსის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას...

არა ისტორია მეფეთა შორის ატეხილ ბრძოლებსა, ფეოდალების უთავაპმო კინკლაობისა, არამედ ქართული სახელმწიფო წყობილების, საკანონმდებლო ნორმებისა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისა, ქართული მუსიკისა და სამართლის ისტორია.

საქართველოს ისტორიის სპეციფიკური უმეტესად უნდა იყოს უნივერსალურად განსწავლული კაცო, დიდი მცოდნე არა მარტო ბერძნულ-ლათინურ სულიერ სამყაროსა, არამედ სპარსულ, არაბულ და თურქულ ენათა მცოდნე, რადგან ქართული კულტურისა და ისტორიის კარდინალური საკითხები მჭიდროდ დაკავშირებულია ზემოხსენებულ ცივილიზაციების საკვანძო პრობლემებთან.

არა მარტო დიდი ენოლოგი, არამედ ფრთხილი მკვლევარი, გონებრივი მოაზროვნე, ფენომენალური შრომის უნარის პატრონი და რაც მთავარია, ფრიალ კეთილშობილი ადამიანი, და თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი.

ივანე ჯავახიშვილს არ დახვედრია ისეთი წინასწარ შემზადებული ისტორიული მასალა, როგორც რომელიმე რანკეს, ან კარლაილს, იგი იძულებული იყო თავის კაპიტალური შრომის «ქართველი ერის ისტორიის» წერის დროს, ჯერ თავთავ ერკვია ესა თუ ის საკითხი, როგორც ლინგვისტს, როგორც არქეოლოგს, როგორც პოლიტიკურ მოვლენათა მკვლევარს და შემდგომ ამისა მოეცა ჩვენი სახელმწიფოური წყობის პოლიტიკური ისტორია.

ივანე ჯავახიშვილს არ დახვედრია ისეთი წინასწარ შემზადებული ისტორიული მასალა, როგორც რომელიმე რანკეს, ან კარლაილს, იგი იძულებული იყო თავის კაპიტალური შრომის «ქართველი ერის ისტორიის» წერის დროს, ჯერ თავთავ ერკვია ესა თუ ის საკითხი, როგორც ლინგვისტს, როგორც არქეოლოგს, როგორც პოლიტიკურ მოვლენათა მკვლევარს და შემდგომ ამისა მოეცა ჩვენი სახელმწიფოური წყობის პოლიტიკური ისტორია.

დასავლეთის ბურჟუაზიული მეცნიერებთა მიერ ჯერაც არაა საქმარისად შეფასებული თუ რა დიდი ღვაწლი დასდეს ზემოხსენებულმა ერებმა კაცობრიულ ცივილიზაციას.

დილეტანტური ექსკურსები რომელთა ავტორებად ითვლებიან იხვლისელები, გერმანელები და ფრანგები, მეტ წილად უნაყოფო ჰიპოტეზებია, რამდენადაც ამ ავტორებს თავი არ შეუწყუბნებიათ ჩვენი ენის შესწავლით, ჩვენი ქრონიკების საფუძვლიანი ათვისებით. გამონაკლისს შეადგენს დიდი მეცნიერი მარი ფელისიტე ბროსე, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა. ამ უცხოელთა მეცნიერული «ინტერვენციის» შედეგად სავესებით დაიბურდნენ, როგორც პრეისტორიის ემპირიული კავასისი აბორიგენულ კულტურათა საკითხები, ისე პრობლემები ქართული პალეოგრაფიისა, ქართული არქიტექტურისა, მწერლობისა და ფერწერისა. ასეთი გაუგებრობისა, და ვერცხლის მოყვარულ უნამუსობის ნაყოფია ვენელი ისტორიკოსის, პროფესორ სტრაციკოვსკის კაპიტალური შრომა, რომელიც წარჰოადგებს პირწავარდნილ ცილისწამებას ქართული არქიტექტურის მიმართ. ქართული ენის განკერძოებულმა მდგომარეობამ და საქართველოს მოწყვეტამ მსოფლიო კულტურის ცენტრიდან მე-15-16-17 და მე-18 ს. გამოიწვია ის იგნორაცია, რომელსაც დღესაც ვამჩნევთ დასავლეთელ ისტორიკოსთა შრომებში.

შუა საუკუნეებში გარემოცულ ციხედ გარდაიქცა საქართველო, მაგრამ თავდაცვისათვის თავდადებულ ბრძოლის ცეცხლშიაც შეძლო ქართველმა ხალხმა მსოფლიოსათვის მიეცა მერჩული და რუსთაველი, ბექა ობიზარი და გიორგი მთაწმინდელი, ჩვენი შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, ბრწყინვალე მემატრიანენი და მდიდარი ფოლკლორი. დმანისის, ბოლნისის, მცხეთის, წულღურაშენის, ოშკის, ხახულის, გელათის და ყინწყინის ამგებნი და მომხატველნი.

თურქი სელჯუკებისა და მონღოლების შემოსევამ მრავალჯერ შესწავილა ქართული კულტურის ბუნებრივი წინსვლისა და განვითარების ტემპები. ამის შედეგად მივიღეთ ის სამწიფო, გადაუხიდავი ნაბრალეები, რომელნიც დღესაც თვალსაჩინოა ქართული სახელმწიფოს, ქართული მწერლობის და ხუროთმოძღვრების ისტორიათა შემსწავლელთათვის.

ეს გარემოება უარესად ამძიმებს ჩვენი წარსულის მეისტორიეთა საქმესაც. ცნობილი ამბავია: განსვენებულია აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა სრულიად შემთხვევით იპოვა თავის დროზე ქართული ისტორიოგრაფიის შესანიშნავი ძეგლი «ხელმწიფის კარის გარეგება». ეს ხელნაწერი ნაკვთვან ერთად გამოეგდო მსახურის ერთ-ერთი აზნაურის სახლიდან. ივანე ჯავახიშვილის დიდა ნიჭმა და განსაკვივრებელმა შრომამ შესძლო შუქი მოეფინა ამ ნაბრალეში ჩაკარგულ საკვანძო საკითხებისათვის. ეს მან შესძლო დიდი მეცნიერების რანგზე აყვანა ქართული ისტორიოგრაფია. იგი მუდამ სკეპტიკურად შესცქეროდა ცრუპატრიოტულ ისტორიას, რომელშიაც ფერუმარლი და მეხობტეობა სჭარბობს ხოლმე ჭეშმარიტებასა და ისტორიულ ფაქტოლოგიას.

როგორც ქართული, ისე უცხოური პირველწყაროებისა და მათიანეების დიდი კრიტიკოსი, სავესებით უბადლო ანალიტიკოსი იგი განსაკვივრებელი ისტატობით სთიშვდა ურთიერთისაგან მნიშვნელოვანსა და ეფემერულს, უცხოსა და ნაციონალურს, ლეგენდარულსა და ჭეშმარიტს, საეგვიოსსა და უცილოს.

დასკვნაში აუჩქარებელი, ჰიპოტეზაში—ზომიერი, ეტიკეტების გაცემაში ზომიერი, დაკვირვებული, ლინგვისტი, დარბაისლურად მოაზროვნე, მაგრამ მინც

10 აპრილს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენოლოგიისა და ლინგვისტიკის ფაკულტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის ძეგლი.

ძეგლის ავტორია ახალგაზრდა მოქანდაკე თ. ლვინიაშვილი, კვარცხლბეკის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ კ. ნახუცრიშვილს. ძეგლი ჩამოსხმულია სტალინის სახელობის რუსთავეის მეტალურგიული ქარხნის მხატვრული წარმოების სამაქროში ბრინჯაოსგან.

ფოტოზე: ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ენოლოგიაში.

ფოტო რ. აკოფოვისა



გენიანი პოლომისტი — მუდამ ასეთი იყო ივანე ჯავახიშვილი. როცა ხეთურ, სუმერულ-საკიტხეს ქებურება, პოლიტიკური ისტორიის პრობლემებს იკვლევდა, ქართული წარმართობის ფესვებს ეძიებდა, უძველესს პალიმფსესტებს განსიფრავდა, თუ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა მცხეთაში, ან დმანისში.

როცა მის დიდ შრომებს თვალს გადაავლებთ, ქართველი ერის ისტორიას, საქართველოს ეკონომიურ ისტორიას, ქართული სამართლის ისტორიას, მუსიკის ისტორიას, ტანისამოსების ისტორიას, პალეოგრაფიულ ნარკვევებს, პოლის მის დიდ შრომას კაცკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, უპირველესი შთაბეჭდილება ეს გახლავთ—გაცოცხება. გაცოცხება მისი კოლოსალური ერთუღიციისა, ასეთივე გულმოდგინების, მისი მეცნიერული კეთილშობილების და ფოლადისებური ლოკიკის წინაშე.

სწორედ ამ უცნაური და უანგარო გულმოდგინებით ჩვენი კულტურის მიმართ თავდავიწყებული სიყვარულით მოგვაგონებს იგი კლარკუთელ დიდ მშენებლებს, ქართული ენის ფუძემდებლებს, გიორგი მთაწმინდელსა და გრიგოლ ხანძთელს, ჩვენს ბრწყინვალე მემატრიანეებსა და პაციოგრაფებს, რომელთა ლაბიარული სტილი ბევრ თანამედროვე დიდ რომანისტს შეეხარება.

ინტელექტუალური რანდობა ახასიათებდა ივანე ჯავახიშვილს მუდამ, თავისი მეცნიერული კონცეპციებისათვის ბრძოლაში და ამ შემთხვევაშიაც თვალწინ დაგვიდგება ხოლმე ქართული ისტორიის ზოგირითი გმირი, მის მიერვე გაცოცხლებული.

ივანე ჯავახიშვილი მუდამ ებრძოდა ისეთ მეცნიერებს, რომელნიც «მეცნიერული ობიექტივობის» საფარველით შენიღბულნი, შუბლზე ატყობდნენ ხოლმე თავიანთ შემკვეთლებს, თუ რომელი თეორია იქნებოდა ამა თუ იმ მომენტში საამური და ხელსაყრელი და ამის მიხედვით «გაშიფრავდნენ» ხოლმე ძველ წარწერებს, ქებვსაც ასწავლიდნენ ცრუმეტყველებას, სწორედ ისეთ მეცნიერებს, რომელნიც თავის დროზე საქვეყნოდ გაუქვალა ჩვენმა დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის «ქებათა დაღაღში».

არც ისეთ ისტორიკოსებს და ლინგვისტებს წყალობდა ივანე ჯავახიშვილი, რომელთაც წარსულში ჩხრეკისაგან უკუშეშრებოდა შეყვარდით, თანადროულია სასაცილო მოჩვენებებს მოგვაგონებდა, რადგან მათ ნაწერებს ნაფუქალინისა და ოხის სუნი უღიოდა და მათი სამერმისო პერსპექტივები თხუნელისას არ აღემატებოდნენ.

ჯერ კიდევ ბნელით მოცულ ეპოქაში, როცა ქართული ხალხის არსებობა ბევრზე ეკიდა, როცა ზოგიერთი მეცნიერი ოსების წინაშე ყიდიდა თავის პირმშობას, ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ოცენობდა. და ეს იმიტომ, რომ მას სურდა სინებლეს სინათლეს ვერ მოერევაო, კიდევ იმიტომ, რომ მას სწამდა ქართული კულტურის უკვდავება და ქართველი ხალხის სულიერი მხნეობის ძალა.

ჭეშმარიტად დიდბუნეოვანი კაცის თავმდაბლობა გამოიჩინა მან აქაც, როცა ოქტომბრის რევოლუციის გრიგალმა შელევსა რომანოვების იმპერიის მიერ დამყარებული ბნელეთის ბჭეები, ივანე ჯავახიშვილმა ბალავერი ჩაუყარა თბილისის უნივერსიტეტს, მან ქართველ მეცნიერთა შორის უხუცესს — პეტრე მელიქიშვილს ჩააბარა უნივერსიტეტის მესაჭეობა.

თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ივანე ჯავახიშვილსაც არა ერთი იდეოლოგიური ხასიათის შეცდომა ჰქონდა დაშვებული; ზოგიერთ არამკითხველს გულით ეწადაო, ამ შეცდომების მსხვერპლად ექცათ ეს შესანიშნავი მეცნიერი, მაგრამ დიდი სტალინის თანამებრძოლმა, ლავრენტი ბერიამ ჩაუფარცხა მათ ეს ბნელი ზრანხანი და ივანე ჯავახიშვილს შეუქმნა საუკეთესო პირობები მეცნიერული მუშაობისათვის.

ჩვენთვის მარადის დაუფიწყარი იქნება ივანე ჯავახიშვილის ნათელი სახე, მისი შევერცხლილი ჭკვიანი თავი, მალალი, სპეტაკი შუბლი, შავ წარბებს ქვეშ შენიზნული ოდნავ ჩაფერვლილი თვალები, რომელნიც ანაზდად გაბრწყინდებოდნენ ხოლმე ისეთ წუთებში, როცა იგი თავის მიერ ახლად აღმოჩენილ რომელიმე ისტორიული ფაქტის, ახლად წაკითხული ძველი წარწერის, ან პალიმფსესტის გამო მოგვითხრობდა.

როცა იგი სიტყვას ამბობდა საჯაროდ, შეკუმშულ მუშტს უცაცუნებდა ტრიბუნას, საუბრობდა სადალ და დამაჯერებლად ურთულეს პრობლემათა გამო, მისი არგუმენტირება და მთელი მისი მეტყველება მოკლებული იყო ყოველივე ყალბ პათოსს, პროფესიულ რიტორიკასა და სოფიზმს.

ძველი ტრადიციების გმირების დარად ივანე ჯავახიშვილი ზემდარი შევეება სიკვდილს. თავის პოსტუმოვად დიდი მეცნიერი და ასეთივე პატრიოტი. როცა თემურ ლენგის მიერ საქართველოს ოხრების ამბავს მოუთხრობდა თავის აულიტორიას, გულმა უმტყუნა ალბათ და ამ ჯერად მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: «მონღოლი»...

კირილა ღაღუხინი

საქონე ბაბაქსკი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზ. თოთიბაძე

ქრონიკელი

ტახტი კედელთან მოხერხებულად დგას, რომ დაწვები, წიგნების თარო აქვია, სასთუმალთან, ხელი გასწი და აიღე რომელი ტომიც გინდა... ბინაში ეს კუთხე მოსწონდა კირილ მხეილის-ძეს. ამიტომ მოვიდა და წიგნების ნაცნობი მწკრივის წინ გაჩერდა, ხელში ეჭირა ჭიკა უკვე გაცეხებული ჩაით. „მაგრამ იარესკომ, იარესკომ...“ — ფიქრობდა დედუხინი, თან წიგნებს ათვალიერებდა, თუმცა ვერც კი ხედავდა მათ; — როგორ თქვა? — ეჩო კაციაო... ნე-ტავ რას ნიშნავს ეს. თქვა ეს ბებერმა და დარბაზში ხარხარი ატყდა. ემყობა, ამ სიტყვებში შეურაცხყოფილი აზრია... მოხუცი კი წყნარია, მშვიდი, არავინ დაუბეზლებია, სამაგიერო არავისთვის გადაუხდია, კომპიურნიების საუკეთესო თავმჯდომარეა... უცრად სიტყვას თბნოვს და ტრიბუნაზე ადის. მესმის, იბონ მიხაილიჩენკო რომ ყოფილიყო: მყვირა-ლია. დაე გამაკრიტიკოს, შეურაცხყოფა არ დამაკლოს — ამისათვის არის პარტი-ული კონფერენცია, ნაწყენი აღამაინები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან... მაგრამ იარესკო, იარესკო... როგორა თქვა? ეჩო კაციაო...“

მაშამ ბალიში მოუტანა და ქმარს აღერხინა და შეხედა. ამ კეთილ ქალურ გამოსხედავში იგრძნობოდა სითბო, ცოლის სიყვარული, ზრუნვა, მახლობელი მეგობრის შემოფოთება.

— კირილა, — თქვა მან ჩუმად, თითქოს არ უნდოდა, ვინმეს გაეგონა მათი საუბარი, — ძალიან გლანძღეს?

